ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 59
(11 618)

2 – 5 აგვისტო, 2002 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნომერშია:


- მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები საქართველოში უფრო მეტ ფულად ჯილდოს მიიღებენ, ვიდრე რუსეთში
- ცქიტიშვილს ნბა-ს სუპერვარსკვლავობას უწინასწარმეტყველებენ
- 10 წლის ქართველი ბიჭუნა ბერლინის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონია!
- ჭიდაობა ჩვენი, ქართული...
- „ფორმულა-1“ – როგორი იქნება იგი 2003 წელს?
- ფეხბურთის ახალი ამბები


# ინფორმაცია

## სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2002 წლის იანვარ-ივნისში გაწეული მუშაობის შესახებ

მიუხედავად არსებული სიძნელეებისა, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა, სპორტის სახეობათა შესაბამის ფედერაციებთან ერთად, გარკვეული მუშაობა გასწია როგორც ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად, ისე საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე საქართველოს ნაკრები გუნდების წარმატებით ასპარეზობის ხელშეწყობისათვის.

აღნიშნულ პერიოდში ინტენსიური მუშაობა წარმოებდა იმ საკანონმდებლო აქტების, პროგრამებისა და ნორმატივების შემუშავებაზე, რაც სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს დაევალა გასული და მიმდინარე წლის სამთავრობო განკარგულებებითა და ბრძანებულებებით.

სპორტის დეპარტამენტმა ეკონომიკის სამინისტროს წარუდგინა საქართველოში 2003 წელს სპორტის განვითარების 7 მიზნობრივი პროგრამა, სახელმწიფო კანცელარიას – სახელმწიფო მინისტრის დავალებით შემუშავებული სპორტის განვითარების მრავალწლიანი კონცეფცია. ამავე პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებების: 2001 წ. 26 ივლისის №289 „საქართველოს სასწავლო დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და 2001 წ. 9 ნოემბრის №1162 „საქართველოში სპორტული რეზერვების მომზადების სრულყოფის ღონისძიებების შესახებ“ შესასრულებლად. სპორტის დეპარტამენტში მოწვეულნი იყვნენ ქვეყნის ყველა რეგიონისა და რაიონის სპორტის ხელმძღვანელები, სასპორტო სკოლების დირექტორები, სპო–

(იხ. მე-2 გვ.)

*ქართული გენი უცხოეთში!*

# ინტერნეტით გამოიძახეთ ბერლინი, გიორგი ქაშიბაძე!



შესაფერისი გარემო თუა, გენი ყველგან გაბრწყინდება, მით უფრო მოზარდებში, როცა „სუფთა დაფასთან“ გვაქვს საქმე. ქართული გენი სპორტსა თუ ხელოვნებაში უცხოეთშიც არაერთგზის გაელვებულა და წარუშლელი კვალი დაუტოვებია სამარადჟამოდ. ადრე სხვა იყო, ახლა სხვა – ქართველი ბავშვები იბადებიან კიდეც უცხო ქვეყანაში, იქვე იწყებენ განათლების მიღებას და, როგორც ყველა მოზარდი, თავიდანვე ირჩევენ გატაცების სფეროს.

გიორგი ქაშიბაძე ჯერ მხოლოდ ათი წლისაა (უფრო სწორად 24 აგვისტოს ხდება 10 წლის). ბერლინში დაიბადა, იქვე სწავლობს – IV კლასში გადავიდა, წარჩინებული მო–

(იხ. მე-2 გვ)

*ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატის წინ*

# შაბათია, რა ვარგია, ვიწყებთ ფეხბურთს ავკარგიანს...

**დასრულდა გულისგამაწვრილებელი მოლოდინი. ხვალიდან ქართული ფეხბურთი მეთოთხმეტედ გაუყვება დამოუკიდებლად სავალ გზას.**

მეტნაკლებად ახმაურდება დედაქალაქისა და საქართველოს სხვა საფეხბურთო რეგიონების სტადიონები – ძველიც და ახალიც. ერთნი შარშან მოპოვებული ავტორიტეტის დაცვას შეეცდებიან, მეორენი ძველი შეცდომების გამოსწორებას. რამდენიმე წლის შემდეგ უმაღლეს ლიგას ისევ დაუბრუნდა კახური გუნდი, თანაც ერთობ მჟღერალა სახელით. („მილანი“ მარტო იტალიური როდია) და ვარსკვლავებს თუ არ მოსწყვიტავს ჩვენებურ ელიტარულ ლიგაში, ვიფიქროთ, თავსაც არ შეირცხვენს. თორმეტი გუნდიდან თითოეულს საკუთარი მოსამზადებელი გეგმა ჰქონდა. „შეძლებულმა“ კლუბებმა (სამწუხაროდ, მათი რიცხვი საკმაოდ მცირეა) სეზონისთვის მზადება უცხოეთში გაიარეს. ყველაზე ნაყოფიერად,

ალბათ, თბილისის „დინამო“ გაისარჯა და არც გამოვრიცხავთ იმას, რომ შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი, წლეულს ჩემპიონობის ერთ-ერთი უპირველესი მაძიებელი იქნება. ბოლო წლების უცვლელ ჩემპიონ

(იხ. მე-3 გვ)

# თბილისის „დინამო“ რეგიონალურ ლიგაში იასპარეზებს



ვილნიუსში ჩატარდა კალათბურთელ ვაჟთა ევროტურნირების – ფიბას ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებისა და რეგიონალური ლიგის ჩრდილოეთ კონფერენციათა, აგრეთვე ქალთა გუნდებს შორის ევროპის თასის გათამაშების კენჭისყრა.

გაირკვა, რომ თბილისის „დინამოს“ კალათბურთელი ვაჟები იასპარეზებენ რეგიონალური ლიგის ჩრდილოეთ კონფერენციის „ა“ ჯგუფში აზერბაიჯანის, უკრაინისა და რუსეთის გუნდებთან ერთად. გაგაცნობთ კენჭისყრის სრულ შედეგებს.

***ფიბას ევროპის ჩემპიონთა ლიგა (ჩრდილოეთი კონფერენცია)***

**„ა“ ჯგუფი** – უნიკსი (რუსეთი), ოსტრევი (პოლონეთი), ბკ ბაულიაი (ლიტვა), ბკ ვენტოპილსი (ლატვია), ოპავა (ჩეხეთი), ალანია ბასკეტი (შვედეთი).

**„ბ“ ჯგუფი** – ანვილი (პოლონეთი), ლოკომოტივი (რუსეთი), სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი), ბმკ ოდესა (უკრაინა), როკი (ესტონეთი), ბკ კოპენჰაგენი (დანია).

**„გ“ ჯგუფი** – პროკომ ტრეფლი (პოლონეთი), ავტოდორი (რუსეთი), ალტა (ლიტვა), სკონტო (ლატვია), მოკარნა კუნინი (ჩეხეთი), გროდნო 93 (ბელარუსი).

**„დ“ ჯგუფი** – ლეტუვოს რიტასი (ლიტვა), ხიმკი (რუსეთი), პოლონია ვარბუდი (პოლონეთი), ბკ კიევი (უკრაინა), კალევი (ესტონეთი), ატომერიმე (უნგრეთი).

***რეგიონალური ლიგა (ჩრდ. კონფერენცია)***

**„ა“ ჯგუფი** – ნტდ ბაკუ (აზერბაიჯანი), დინამო (თბილისი), ხიმიკი (უკრაინა). ევრაზი (რუსეთი).

**„ბ“ ჯგუფი** – ესმ ნიმბურკი (ჩეხეთი). კაპოშვარი (უნგრეთი), ბაიერი (გერმანია), ალენსი (ნორვეგია).

**„გ“ ჯგუფი** – ბკ ლუცენეცი (სლოვაკეთი), ალბაკომაი (უნგრეთი), ოლივერი (გერმანია), ულრკენ იგლზი (ნორვეგია).

**„დ“ ჯგუფი** – სტორმი (ნორვეგია), კხოვმაში (უკრაინა), უმკა (ფინეთი).

**„ე“ ჯგუფი** – ვალერენგა კინზი (ნორვეგია), ხაინც (ფინეთი), ტალინი (ესტონეთი).

***ევროპის თასი. ქალები***

**„ა“ ჯგუფი** – დინამო (რუსეთი), მავ კუპი (უნგრეთი), კუაი პასირი (პოლონეთი), დელტა (სლოვაკეთი), კოზაჩკა (უკრაინა).

**„ბ“ ჯგუფი** – ბრე ბუდაპეშტი (უნგრეთი), დ. კუისკი (რუსეთი), ბლეკსი (ჩეხეთი), რიესტი (გერმანია).

**„გ“ ჯგუფი** – სოპრონი პოშტაში (უნგრეთი), სამარა (რუსეთი), აკვაკარკი (პოლონეთი), ლოკო ტეკსლენი (ჩეხეთი).

**„დ“ ჯგუფი** – ვოლოგდა-ჩევაკატა (რუსეთი), დიოსგიორი (უნგრეთი), ბკ კოპენჰაგენი (დანია), დორსტენი (გერმანია).




# ავთანდილ (ბასა) ლოლობერიძე 80 წლისა გახდებოდა

# თეირანიდან შინ ოთხი მედლით

ამ დღეებში თეირანმა ჭაბუკთა შორის (1987-88 წ.წ. დაბადებულნი) თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა პირველ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. მონაწილეობდნენ ირანის, გაერთიანებული საემიროების, თურქეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, ყაზახეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს წარმომადგენლები.

ჩვენს გუნდში 13 ჭაბუკი იბრძოდა წარმატებისთვის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გია კოტიშაძის ხელმძღვანელობით. გუნდს მწვრთნელებად ახლდნენ არმაზ შენგელია და ლევან მარსაგიშვილი ყაზბეგიდან, რომლის ორი შვილი გამოდიოდა სარბიელზე. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებიდან ორმა სპორტსმენმა პირველობა, ორმაც – მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა. გამარჯვებულები არიან რუსთაველი მიხეილ მერაბიშვილი (59 კგ) და ყაზბეგელი ირაკლი მარსაგიშვილი (73); მეორე ადგილზე გავიდნენ ყაზბეგელი დავით მარსაგიშვილი (38) და თბილისელი ნოე ჭელიძე (38). გუნდურ პირველობაში ჩვენი ჭაბუკები მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ.

რ. ყარსელი

## ქართველი ბალახის ჰოკეისტები ევროპის პირველობაზე

**5-11 აგვისტოს მოსკოვის მახლობლად, ელექტროსტალში, სტადიონ „მეტალურგზე“ ჩატარდება ევროპის პირველობა ბალახის ჰოკეიში ახალგაზრდულ გუნდებს შორის. შეჯიბრებაში იასპარეზებენ რუსეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ბელარუსისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.**

## მილოცვა

**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია დაბადებიდან 80 წლისთავს ულოცავს ამაგდარ პედაგოგს, ამავე აკადემიის სპორტის მედიცინის კათედრის უფროს მასწავლებელს თინათინ მიქაბერიძეს.**

# ანდრეი კირილენკო: „ცქიტიშვილს ძალუძს გახდეს ნბა-ს სუპერვარსკვლავი“

მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადება დაიწყო ერთ-ერთ ფავორიტად აღიარებულმა რუსეთის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა, რომელსაც გუშინწინ შეუერთდა რუსული კალათბურთის ვარსკვლავი და ამ ქვეყნის ერთადერთი წარმომადგენელი ნბა-ში ანდრეი კირილენკო, რომელმაც ინტერვიუ მისცა „სპორტ-ექსპრესის“ ჟურნალისტს.

● ***„იუტადან“ ტრავმირებული გამოგიშვეს...***

– ექიმებმა დამრთეს გამომგზავრების ნება. 5-6 დღეში სრული ძალით ვივარჯიშებ, რა თქმა უნდა, რუსეთის ნაკრებთან ერთად, პარალელურად, ამერიკულ სამედიცინო ცენტრშიც ვივლი.

● ***ბოლო პერიოდში ნბა-ში სულ უფრო ხშირად იწვევენ ევროპელებს. არადა, ადრე ამერიკელი სპეციალისტები მათ სკეპტიკურად უყურებდნენ...***

– ამჟამად ნბა-ში ეძებენ მოთამაშეებს, რომლებიც მხოლოდ საუცხოო დრიბლინგით, ზუსტი ტყორცნებით და სათამაშო დისციპლინით როდი გამოირჩევიან. ბოლო პერიოდში ძირითადი აქცენტი გუნდურ თამაშზე და დაცვაზეა გამახვილებული, რაშიაც ევროპელები აშკარად სჯობნიან ამერიკელ კალათბურთელებს.

● ***მაინც როგორ ევროპელს ძალუძს ნბა-ს კლუბში მოხვედრა?***

– მას უნდა ჰქონდეს სალი აზროვნება, ზუსტი გადაცემების უნარი და კალათში სროლაც უნდა შეეძლოს...

● ***დსთ-ს სივრცის ქვეყნებიდან ნბა-ში აღმოჩნდა ნიკოლოზ ცქიტიშვილი...***

– ამ ქართველ კალათბურთელს დიდებული მონაცემები აქვს, შეიძლება ითქვას, რომ მას ძალუძს, გახდეს ნბა-ს სუპერვარსკვლავი. „დენვერის“ ყოველ თამაშში ის მუდამ გამოირჩევა მოედანზე.

***

სპორტის საწყლოსნო სახეობებში ბერლინში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე, ჰოლანდიელ პიტერ ვან დენ ჰუგენბანდს ორად-ორი მეასედი წამი დააკლდა მსოფლიო რეკორდის დამყარებამდე – 100-მეტრიან დისტანციაზე თავისუფალი სტილით ცურვაში მან ყველას აჯობა – 47,86.

# ბრინჯაო „მოხტუნავე ვარსკვლავთა“ ტურნირიდან




ამ დღეებში ქ. სტავროპოლში ჩატარდა VIII საერთაშორისო ტურნირი აკრობატულ ხტომებში დევიზით: „მოხტუნავე ვარსკვლავები“.

ასპარეზობაში მონაწილეობდა ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების ტანვარჯიშულ სახეობათა სპორტული სკოლის (დირექტორი როზა ბერიკაშვილი) აღსაზრდელი, თბილისის 171-ე სკოლის VI კლასის მოსწავლე გიორგი ექიზაშვილი. ჩვენმა ჭაბუკმა თანატოლთა შორის მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა (მწვრთნელი ნუგზარ ძუკაევი).

უნდა აღინიშნოს თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსის დავით ჭელიძის ძალისხმევა, რომელმაც ყველაფერი იღონა, რათა აღნიშნულ შეჯიბრებაზე ჩვენს წარმომადგენელს ეასპარეზა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ უძლიერესი სპორტსმენები საბერძნეთიდან, დანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ბელარუსიდან, უკრაინიდან, ყაზახეთიდან, რუსეთიდან და ლატვიიდან.

ც. ბაქრაძე

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი დარჩა

## ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 6 თვე გვაშორებს

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!**

## ოლიმპიურ თამაშებში მაქინაციებისათვის დააპატიმრეს ავტორიტეტი „ტაივანჩიკი"

*იტალიაში დააპატიმრეს ერთ-ერთი დამნაშავეთა ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელსაც ზამთრის 2002 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამით ფიგურულ სრიალში ჩატარებული შეჯიბრების მსაჯებზე გავლენის ზემოქმედება ბრალდება.*

ამ პიროვნების სახელი და გვარი ალმჟან ტოხტახუნოვია. ამერიკელი სამართალდამცველების განცხადებით, როცა ფრანგულმა წყვილმა მარინა ანისინასა და გვენდალო კაიზერის შემადგენლობით ოქროს მედლები მოიპოვა, ერთი ხმით აჯობეს რუს სპორტსმენებს ირინა ლობაჩევასა და ილია ავერბუხს. ფრანგებს ხმა მისცეს მსაჯებმა აზერბაიჯანიდან, ბულგარეთიდან, ლიტვიდან, პოლონეთიდან და უკრაინიდან. ისინი დაიკითხებიან აშშ-ს გამოძიების ფედერალური სამსახურის მიერ. ვარაუდობენ, რომ ტოხტახუნოვს ზემოთჩამოთვლილ მსაჯებთან ჰქონდა საქმე. გარდა ამისა, იმასაც ამბობენ, რომ ეს პიროვნება „ტაივანჩიკად" ინოდებოდა და რუსეთში „კანონიერ ქურდადაც" ითვლებოდა, რომელიც რამდენიმე წლის წინ საზღვარგარეთ გაიქცა.

# ინტერნეტით გამოიძახეთ ბერლინი, გიორგი ქაშიბაძე!

*(პირველი გვერდიდან)*

სწავლეა. ახლა თბილისშია ჩამოსული „სტუმრად" მშობლებთან ერთად. ამ ყმაწვილის შესახებ ადრეც გვსმენოდა და სეოკ-ის აღმასრულებელი დირექტორის დავით კინწურაშვილის დახმარებით, პატარა გიორგი თავის მამასთან ერთად მოვიწვიეთ რედაქციაში. საუბარი პირდაპირი და გულღია გაიმართა.

● ***მაშ ასე, გიორგი, ერთმანეთი უკვე გავიცანით. გვითხარი, როდის დაიწყე ჭადრაკის თამაში?***

— 1999 წელს გამიჩნდა სურვილი მეთამაშა ჭადრაკი და სექტემბრიდან უკვე სექციაში ჩავეწერე.

● ***ალბათ ამ სურვილისკენ მშობლებმა გიბიძგა...***

— დიახ!

● ***პირველი ცნობა თბილისში შენს შესახებ მოვიდა შარშან, როცა თანატოლებში ბერლინის ჩემპიონობა მოიპოვე. წლეულს თუ გამოხვედი იგივე შეჯიბრებაში?***

— როგორ არა, ოღონდ ამჯერად ვიცე-ჩემპიონი ვარ.

● ***გერმანიის პირველობაზე არ გიცდია თავი?***

— ბერლინის ჩემპიონატის შემდეგ, გერმანიის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოვიპოვე. იქ ქვეყნის 90 უძლიერესი ჩემი თანატოლი მოჭადრაკე გამოდიოდა. მე დავიკავე მეშვიდე ადგილი.

● ***კარგია ეს თუ ცუდი? კმაყოფილი ხარ?***

— რატომაც არა, პირველად გამოვდიოდი ამხელა შეჯიბრებაში, თანაც ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მიწვევის უფლება მოვიპოვე. ეს შეჯიბრებები წლეულს გაიმართება ესპანეთსა და საბერძნეთში.

● ***ვინ არის შენი მწვრთნელი?***

— გერმანიაში — მარკუს ქიზექამფი, თბილისში — დიდოსტატი გიორგი მაჭარაშვილი.

● ***ევროპისა და მსოფლიო პირველობაზე გერმანიის სახელით გამოხვალ?***

— არა, ქართული პასპორტი მაქვს და საქართველოს სახელით გამოვალ.

● ***გერმანიის მოქალაქეობაზე ხომ არ ფიქრობ?***

— ვიცი, რომ ამის თაობაზე არჩევანი უნდა გავაკეთო, როცა 18 წლის გავხდები.

● ***ასე რომ, ჯერ ადრეა ამაზე ფიქრი?***

— დიახ!

● ***კიდევ სპორტის რომელი სახეობა გიტაცებს?***

— ფეხბურთი. ჩემი კლასელების უმეტესობა ფეხბურთზე დადის. ეზოშიც ვთამაშობ ხშირად.

● ***მოედანი გაქვთ ეზოში?***

— არა, პატარა ფართობია, ცალი კარით.

● ***კიდევ რა გიტაცებს?***

— წიგნის კითხვა.

● ***ახლა რას კითხულობ?***

— კაპიტან ნემოს.

● ***ქართულად?***

— (იცინის), არა, გერმანულად. ჯერ არ ვიცი ქართული კითხვა, მაგრამ ვისწავლი.

● ***ქართულად გამართულად ლაპარაკობ, ოჯახის წევრების გარდა გაქვს ქართველებთან ურთიერთობა?***

— ძალიან იშვიათად.

● ***ალბათ საკუთარი კომპიუტერიც გაქვს ოჯახში.***

— კი, მაქვს.

● ***როგორ იყენებ?***

— მეტწილად ჭადრაკს ვეთამაშები სხვადასხვა ქვეყნებში მოყვარულებს, ქულებიც მეწერება, ერთმანეთში ვლაპარაკობთ კიდეც ელექტროფოსტის დახმარებით.

● ***ელექტროფოსტის საკუთარი მისამართი თუ გაქვს ინტერნეტში?***

— როგორ არა.

● ***მაშინ გთხოვ, ჩვენც დაგვიტოვო...***

კალამს გიორგის მამა იმარჯვებს და მისამართს გვიწერს. გიორგისთან უთუოდ გავაბამთ საუბარს ინტერნეტის მეშვეობით. ცხადია, ქართულად, მაგრამ ჯერჯერობით ინგლისური ან გერმანული შრიფტის გამოყენებით....

ესაუბრა ც. ბაძრაძე

# ინფორმაცია

## სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2002 წლის იანვარ-ივნისში გაწეული მუშაობის შესახებ

*(პირველი გვერდიდან)*

რტის დეპარტამენტისა და განათლების სამინისტროს სპორტის ხელმძღვანელები. შემუშავდა ადგილებზე გასატარებელ ღონისძიებათა გეგმა, სპორტკომიტეტების ხელმძღვანელებს დაურიგდათ რაიონებში სპორტის განვითარების ტიპიური პროგრამები. ამ ეტაპზე აღნიშნულ საკითხებზე უკვე ადგილებზე, გამგებლებისა და რწმუნებულების დონეზე, მიმდინარეობს მუშაობა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს ყოველდღიურად წარმოედგინება ინფორმაციები გატარებულ ღონისძიებათა შესახებ.

მიმდინარე წელს დაფინანსების გამჭვირვალობის მიზნით, ფედერაციებზე გამოყოფილი თანხები პრესაშიც გამოქვეყნდა. აღნიშნული თანხები ჩაიდო ფედერაციებთან გაფორმებულ ორმხრივ ხელშეკრულებებში.

იანვარ-ივნისში ჩატარებულია 76 სპორტული ღონისძიება, რომლებშიც მონაწილეობდა 4 000-მდე სპორტსმენი. მათ შორისაა საქართველოს ჩემპიონატები და პირველობები – 15 ღონისძიება; სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები – 20; საერთაშორისო ტურნირები და ოფიციალური შეჯიბრებები – 43. მთლიანად მათში მონაწილეობისათვის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა დახარჯა 765 000 ლარი.

საქართველოს სპორტსმენებისა და ნაკრები გუნდების მიერ ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში (ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, თასის გათამაშებები) მოპოვებულია 54 მედალი, მათ შორის 15 ოქროსი, 21 ვერცხლის და 18 ბრინჯაოსი. ამ წარმატებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი ასანიძისა და ბადრი ხასაიას ევროპის ჩემპიონატების ოქროს მედლები, ძიუდოისტთა და მშვილდოსანთა ნაკრები გუნდების ევროპის ჩემპიონატის გუნდური პირველი ადგილები, ნინო სალუქვაძის მსოფლიო თასის გათამაშებაში გამარჯვება და საქართველოს ნაკრები გუნდისათვის ტყვიის სროლაში პირველი ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება.

აღნიშნულ სპორტსმენთა და მათ მწვრთნელთა წახალისების მიზნით სპორტის დეპარტამენტმა მიმართა თხოვნით და გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება მიღწეული წარმატებებისათვის მათი ფულადი პრემიებით დაჯილდოების შესახებ. ეს იმედს გვაძლევს, რომ შეფერხებები და ბარიერები აღნიშნული პრემიების ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოყოფაზე, აღარ იქნება.

მიმდინარე წლის თებერვალში საქართველოს სპორტული დელეგაცია მონაწილეობდა სოლტ-ლეიკ-სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში. ჩვენმა წარგზავნილებმა, მართალია, მოკრძალებული შედეგები აჩვენეს, მაგრამ ამ უდიდეს სპორტულ ფორუმში მონაწილეობამ ჩვენი ქვეყნის სპორტულ ხელმძღვანელობას შესაძლებლობა მისცა მიეღო გამოცდილება. იყო საქმიანი შეხვედრები, ურთიერთობები, დამყარდა კავშირები საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნების სპორტის ხელმძღვანელებთან.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ჩვენი სპორტული დელეგაციის (180 კაცი) წარმატება 14-24 ივნისს მოსკოვში ჩატარებულ დსთ-ს, ბალტიის ქვეყნებისა და რუსეთის რეგიონების ჭაბუკთა საერთაშორისო სპორტულ თამაშებში, სადაც საქართველოს წარმომადგენლებმა მოიპოვეს 13 მედალი, მათ შორის 5 ოქროს, 4 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოსი. საქართველომ საერთო ჩათვლაში მე-4 ადგილი დაიკავა და გაუსწრო ისეთი სპორტული ტრადიციების ქვეყნებს, როგორებიც არიან უზბეკეთი, ყაზახეთი, ლიტვა, მოლდოვა და სხვა.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ტრადიციულად მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს პრეზიდენტის გრანტისა და სტიპენდიის მიმანიჭებელ კომისიასთან. წელს ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ეს სტიპენდია და გრანტი უფრო მეტ წამყვან სპორტსმენს მიეღო, ვიდრე შარშან (2001 წელს მიენიჭა 17 სპორტსმენს, 2002 წელს კი – 22-ს).

რაც შეეხება მომავალს, გრძელდება მზადება მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის, რომლებიც აგვისტო-ნოემბერშია დაგეგმილი. ამასთან, ძიუდოში, როგორც ევროპის გუნდურ ჩემპიონატში გამარჯვებულმა, საქართველოს ნაკრებმა გუნდმა უნდა დაიცვას კონტინენტის ღირსება მსოფლიოს თასის გათამაშებაში, რაც დამატებით ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს. ასევე აუცილებელია მსოფლიოს ჩემპიონატებში მონაწილეობა სროლის, ჭიდაობის სახეობებში, ტანვარჯიშში, ძალოსნობაში. ეს ასპარეზობები ძირითად ეტაპებს წარმოადგენენ ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირებისათვის. საქართველოს მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები ემზადებიან ოქტომბერ-ნოემბერში დაგეგმილ მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის. ყოველივე ამის დასაფინანსებლად სპორტის დეპარტამენტს გადაწყვეტილი აქვს მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს დამატებითი სახსრების გამოსაყოფად. კვლავ გძელდება ინტენსიური მზადება ათენის ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისათვის, მეტი ყურადღება დაეთმობა ჩვენი წამყვანი სპორტსმენების მატერიალური პირობების გაუმჯობესებას. სპორტის დეპარტამენტი გააგრძელებს მუშაობას დარგისათვის ისეთი საჭირო კანონის მიღებისათვის, როგორიცაა „კანონი სპონსორობის შესახებ". განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კანონში „სპორტის შესახებ" ცვლილებების შეტანის საკითხს. მიმდინარე ეტაპზე მთავარი ამოცანა იქნება „საქართველოში მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღებისა და სპორტის განვითარების" სახელმწიფო პროგრამისა და მოსახლეობის ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის პრეზიდენტის ტესტების მიღება და მათი გეგმაზომიერი განხორციელება. ხელი შეეწყობა სპორტული მედიცინის განვითარებას. როგორც ყოველთვის, დიდი ყურადღება დაეთმობა უმნიშვნელოვანეს მიმართულებას – ბავშვთა და მასობრივი სპორტის განვითარებას, ვინაიდან სწორედ ეს მიმართულებაა დიდი სპორტის ღირსეული კადრების სამჭედლო და მოსახლეობის ფართო ფენების გაჯანსაღების საფუძველთა საფუძველი.

აღნიშნული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარება ხელს შეუწყობს ერის გაჯანსაღების, მოზარდი თაობის ფიზიკური წრთობის, მათი მხედრული მომზადების, მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და ჩვენი ქვეყნის მდიდარი სპორტული პოტენციალის საერთაშორისო სარბიელზე წარმოჩენის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემების გეგმაზომიერ გადაჭრას, რაც არსებული რეზერვების ამოქმედებისა და სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვის გარეშე შეუძლებელი იქნება.

საქართველოს
სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი

# მიმართვა

## ყველა დაინტერესებული პირისადმი

ბოლო ხანებში გახშირდა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტზე ობიექტური თუ სუბიექტური თავდასხმა სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით, რის გამოც დეპარტამენტის პრესცენტრი იძულებულია გააკეთოს მიმართვა ყველა დაინტერესებული პირისადმი და განმარტოს დღევანდელ სპორტში არსებული ვითარება.

ყველამ კარგად იცის და კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ არსებული მწირი დაფინანსების პირობებში სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ხელფასს (დამატებითი კვების სახით 100-დან 600 ლარამდე) უხდის 90 სპორტსმენს. 55 სოციალურად დაუცველ გამოჩენილ სპორტის ვეტერანს დაუნიშნა დახმარება 90 ლარი (როდესაც პენსია ქვეყანაში 14 ლარია). მომავალი წლისათვის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს გადაწყვეტილი აქვს დამატებითი კვებისა და დახმარებების ოდენობა გააორმაგოს, აღნიშნული ზრდა ჩადებულია სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებში, რომელიც მიმდინარე წლის მარტში წარედგინა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს განსახილველად.

სპორტის დეპარტამენტმა მიმართა თხოვნით და 2002 წლის 12 თებერვალს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №39 „ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების ციკლისა და ფინალური თამაშების მონაწილე სპორტსმენთა წახალისების მიზნით ფულადი პრიზების დაწესების შესახებ", სადაც **მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებებისათვის I ადგილზე განსაზღვრულია შესაბამისად 10 000 და 5 000, II ადგილზე — 7000 და 3000, ხოლო III ადგილზე — 5000 და 2000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტით. მათ მწვრთნელებს კი მიეცემათ შესაბამისი საპრიზო ფონდის 25 პროცენტი. (შედარებისათვის: რუსეთმა ანალოგიური მიღწევებისათვის დააწესა მსოფლიოზე 7000, 3500 და 2100, ევროპაზე — 3500, 2100 და 700 დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში).**

შარშანდელი მიღწევების გათვალისწინებით, სპორტის დეპარტამენტმა საპრიზო ფონდის დავალიანებიდან დღეისათვის დაფარა 150 ათასი ლარი, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით საპრიზო ფონდის დანარჩენი დავალიანება გამოიყოფა შემოდგომაზე (სექტემბერ-ოქტომბერი), რაც შეეხება მიმდინარე წელს — პირველ ნახევარში ნაჩვენები შედეგების მიხედვით, შედგენილ იქნა იმ სპორტსმენთა ნუსხა, რომლებმაც გამოიჩინეს თავი საერთაშორისო სარბიელზე. თხოვნა გადაეცა ფინანსთა სამინისტროს. იმედი გვაქვს, ზემოაღნიშნული ბრძანებულების დახმარებით, წინა წლებთან განსხვავებით, შეფერხებები და ბარიერები აღნიშნული პრემიების ფინანსთა სამინისტროდან გამოყოფის თაობაზე აღარ გვექნება.

სპორტული ბაზების გამართული მუშაობის მიზნით დეპატრამენტმა გამონახა საშუალება დაეფარა წინა (ნაწილი) და მიმდინარე წლის კომუნალური გადასახადები, რამაც მთლიანობაში 50 000 ლარი შეადგინა.

მომავალში სპორტის დეპარტამენტის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან და ახალშექმნილ ოლიმპიურ ფონდთან, დიდად წაადგება როგორც წამყვანი სპორტსმენების მატერიალური პირობების გაუმჯობესებას, ისე ჩვენი ქვეყნის სპორტული პოტენციალის ღირსეულ წარმოჩენას საერთაშორისო სარბიელზე.

მივმართავთ ყველა დაინტერესებულ პირს, სპორტზე გამოყოფილი სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობის ობიექტურად შეფასების მიზნით, გთხოვთ მობრძანდეთ სპორტის დეპარტამენტის პრესცენტრში და მიიღოთ ყველა კითხვაზე ინფორმაცია პირველი წყაროდან.

საქართველოს სპორტის
სახელმწიფო დეპარტამენტის
პრესცენტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

**ჩემპიონთა ლიგა**

*პირველი მატჩი. 31 ივლისი.*
***პრაღა. სტადიონი „ლეტნა“.***
**სპარტა (პრაღა) — ტორპედო (ქუთაისი) 3-0**

**სპარტა:** სპიტი, გრიგერა, ჰუბშმანი, პობორსკი (მიხალიკი 60), ზელენკა, მარეკი, ნოვოტნი, სიონკო, იაროშიკი, იუნი (პოსპიშილი 68), ბარანეკი (ბაბნიჩი 88).
**ტორპედო:** სტურუა, დიდავა, თოდუა, ხვადაგიანი, კვეტენაძე (ქემოკლიძე 39), დ. ჯანაშია (ბაბუნაშვილი 46), ახალკაცი (იონანიძე 75), პოროშინი, ლ. ჭელიძე, გუჩუა, ასათიანი.
გოლები 1-0, 2-0 ბარანეკი (7, 20), 3-0 პოსპიშილი (74).
***გააფრთხილეს:*** გუჩუა, ხვადაგიანი.
***მსაჯი:*** კარლ ერიკ ნილსონი (შვედეთი).



## უშველის „ლეტნაზე“ დასიცხულ „ტორპედოს“ წყალტუბოდან მონაბერი ქარი?..

ის, რომ ჩვენს ჩემპიონს პრაღაში ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად არ იწვევდნენ, კარგად ვიცოდით. მატჩის სიმძიმე თავიდანვე მხრებზე დააწვა ჩვენებურთ, თუმცა იხტიბარს მაინც არ იტეხდნენ და იმედის პატარა ნაპერწკალიც კიაფობდა გულშემატკივართა გულებში. სამწუხაროდ, ქართველებს თავს ზევით ძალა არ აღმოაჩნდათ გულმოცემულ მასპინძელთა აღტყინების დასაოკებლად. სამი ბურთით დამარცხება საქვეყნო სირცხვილი არაა, მაგრამ საკმაოდ მტკივნეულია, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსები, თითქმის აღარც გვაქვს, თუ მოულოდნელი სასწაული არ მოხდება ოთხშაბათს, ქუთაისში, საპასუხო შეხვედრაში, რაც ჩემპიონთა ლიგაში, ფაქტობრივად, გამორიცხულია.

მატჩი ფავორიტი მასპინძლების გამუდმებული იერიშებით დაიწყო, რასაც ლოგიკური შედეგიც მოჰყვა, ბარანეკმა ორჯერ აიღო სტუმართა კარი. მეორე ტაიმში პოსპიშილის მესამე გოლმა, მხოლოდ ხაზი გაუსვა სლავთა უპირობო უპირატესობას.

მოკლედ, „სპარტამ“ „ტორპედო“ დამაჯერებლად დაამარცხა. მთავარ იმედად ისღა რჩება, რომ საქართველოს ჩემპიონი, პრაღელებთან ორრაუნდიანი პაექრობით, ალბათ, ასე აუცილებელ საერთაშორისო მატჩების გამოცდილებას მაინც მიიღებს.

### სხვა მატჩები:

ჟილინა (სლოვაკეთი) — ბაზელი (შვეიცარია) 1-1
სკონტო (ლატვია) — ლევსკი (ბულგარეთი) 0-0
დინამო (უკრაინა) — პიუნიკი (სომხეთი) — 4-0
მაკაბი (ისრაელი) — ბელშინა (ბელარუსი) 4-0
ლილესტრიომი (ნორვ.) — ჟელეზნიჩარი (ბოსნია) 0-1
ჰამარბი (შვედეთი) — პარტიზანი (იუგოს.) 1-1
შერიფი (მოლდოვა) — გრაცერი (ავსტრია) 1-4
ბრიუგე (ბელგია) — დინამო (რუმინეთი) 3-1
ვარდარი (მაკედონია) — ლეგია (პოლონეთი) 1-3
ბრონდბიუ (დანია) — დინამო (ალბანეთი) 1-0
მარიბორი (სლოვენია) — აპოელი (კვიპროსი) 2-1
ზალაეგერსეგი (უნგრ.) — ზაგრები (ხორვ.) 1-0
ბოავიშტა (პორტ.) — ჰიბერნიანსი (მალტა) 4-0

**UEFA INTERTOTO CUP**

**მეოთხე ეტაპი, პირველი მატჩები, 31 ივლისი**

ლილი (საფრანგეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი) 1-1
შტუტგარტი (გერმანია) — სლავენი (ხორვატია) 2-1
ბოლონია (იტალია) — ტეპლიცე (ჩეხეთი) 5-1
ფულემი (ინგლისი) — სოშო (საფრანგეთი) 1-0
მალაგა (ესპანეთი) — ტილბურგი (ჰოლანდია) 2-1
ვილიარეალი (ესპანეთი) — ტრუა (საფრანგეთი) 0-0

## რევაზ ძოძუაშვილი ელისტას და რუსულ ელიტას შეეთვისა

საფეხბურთო ბილიკს დაუბრუნდა რევაზ ძოძუაშვილი. გამოცდილი მწვრთნელი ქუთაისის „ტორპედოდან“ წასვლის შემდეგ ერთი ხანობა ჩრდილში იყო, ახლა კი აქტიურ სამწვრთნელო მოღვაწეობას რუსეთში, კირსან ილიუმჟინოვის „ურალანის“ თავკაცობით გააგრძელებს. მისი ელისტაში მიწვევა, თითქმის 90 პროცენტით გადაწყვეტილია. თუმცა, ჯერ რევაზ ძოძუაშვილი გუნდის კონსულტანტია და ფეხბურთელთა შესაძლებლობების გაცნობის პროცესშია. ამჟამად „ურალანი“ პრემიერ ლიგაში 18 თამაშიდან 18 ქულით მე-10 ადგილზეა.

## ბლატერმა დაგვიბარა, ფიფაში ჩაგვიყვანა

ქართული ფეხბურთის წინასაყრილობო მარათონი დღითიდღე მწვავდება და იძაბება, რისი პირდაპირი გამოძახილიც დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს მოსამართლე ნუნუ კვანტალიანის მიერ 23 ივლისის გადაწყვეტილებაა, რომელიც ასეა ფიქსირებული: ***„დავით პეტრიაშვილის სარჩელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ დაკმაყოფილდეს.***

***ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2002 წლის 8 თებერვლის აღმასკომის დადგენილების მე-3 პუნქტის მეოთხე ქვეპუნქტი და მე-4 პუნქტის პირველი ქვეპუნქტი აღმასკომის წევრების, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის და „ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი“-ს ხუთი წარმომადგენლისათვის ყრილობის დელეგატის სტატუსის მინიჭების თაობაზე და 2002 წლის 24 ივნისის დადგენილება ბავშვთა სკოლების დელეგატებისათვის ს.ფ.ფ.-ს ყრილობაში მონაწილეობის შეზღუდვის თაობაზე.***

***სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.***

***გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატაში (მდ. ქალაქი თბილისი, გრიგოლ რობაქიძის 7-ა).***

*მოსამართლე ნ. კვანტალიანი“*

ამ გადაწყვეტილების კომენტარისგან სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ თავი შეიკავა. ფედერაციის მესვეურებმა სასამართლოს გადაწყვეტილების თაობაზე ფიფას აცნობეს. პასუხმაც არ დააყოვნა. მერაბ ჟორდანია და ვალერი ჩოლარია ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა თავისთან მიიწვია. „სასიამოვნო გამოძახება ნამდვილად არ არის, მაგრამ ვეცდებით ბლატერთან კონსტრუქციული საუბარი გავმართოთ და ქართული ფეხბურთისთვის სასიკეთო შედეგი მივიღოთ.“ — უთხრა ჟურნალისტებს ჩოლარიამ. შეკითხვაზე მერაბ ჟორდანიასა და ბადრი პატარკაციშვილის შეხვედრის თაობაზე გენერალურმა მდივანმა განაცხადა — „ვალდებული ვარ შეკითხვას ვუპასუხო, ასეთი შეხვედრა მართლაც შედგა შაბათს, მხოლოდ მე მას არ ვესწრებოდი, ამიტომ საუბრის თემა და დეტალები ჩემთვის უცნობია, სფფ-ს პრეზიდენტის დაბრუნების შემდეგ მის არსშიც გავერკვევი“. მერაბ ჟორდანია ჩეხეთში იმყოფებოდა, „სპარტასა“ და „ტორპედოს“ მატჩს ესწრებოდა. მომავალ კვირაში სფფ-ს ჩინოსნები შვეიცარიას გაემგზავრებიან და ფიფას პრეზიდენტს შეხვდებიან. იქიდან დაბრუნების შემდეგ ვიზიტის შედეგებს გააცნობენ მასმედიას, სფფ-ს ყრილობამდე კი სამიოდე კვირა რჩება.

## შაბათია, რა კარგია, ვიწყებთ ფეხბურთს აპკარგიანს...

*(პირველი გვერდიდან)*

ქუთაისის „ტორპედოსთან“ ერთად. ნუ დავივიწყებთ თბილისის „ლოკომოტივს“. სერგო კოტრიკაძის შეგირდები ზემოთ ნახსენებ გუნდებს, წლეულსაც გაუწევენ კონკურენციას და ალბათ, სწორედ ისევ ეს სამეული იქნება პირველობის უმთავრესი ფავორიტი, თუმცა ეს მხოლოდ ჩვენი ვარაუდია. სასიამოვნო სიურპრიზი იქნება თუ ამ ტრიოს მდევრად კიდევ რამდენიმე კლუბი მოევლინება.

ყველა კლუბი ახალ სეზონს გარკვეული ოპტიმიზმით ელოდება, ითვალისწინებს საკუთარ და მეტოქის შესაძლებლობებს, ზოგიერთს უჭირს, ზოგიერთს ულხინს, მაგრამ ჩემპიონატი იწყება და თუ როგორი იქნება გრძელი სატურნირო გზა, ამას სეზონის ბოლოს გავიგებთ.

ჩემპიონატი უკვე აპრობირებული სისტემით ჩატარდება. პირველი ეტაპის ორწრიანი ტურნირი დეკემბერში დასრულდება. მეორე ეტაპზე კი გუნდები ექვსეულებად დაიყოფა. ზედა ექვსეულის ბინადარნი ჩემპიონობისთვის და ევრო საგზურებისთვის ითამაშებენ, ქვედა ექვსეულისა კი უმაღლესში დარჩენას შეეცდებიან.

XIV ეროვნულის პირველი ტური ხვალინდელი ოთხი მატჩით გაიხსნება და ორშაბათს დამთავრდება. პირველი ტურის კალენდარში გარკვეული ცვლილებებია. ბათუმის „დინამო“, რომელიც თურქეთში საქველმოქმედო მატჩს ჩაატარებს, ბოლნისის „სიონს“ 3 აგვისტოს ნაცვლად 5 აგვისტოს უმასპინძლებს. სტუმარ-მასპინძელი შეიცვალა გორის „დილასა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ წყვილში. გორელთა სტადიონის კეთილმოწყობა გრძელდება და ქართლელებმა პირველი მატჩის გამართვა დედაქალაქში ისურვეს, რაზეც რკინიგზელთა თანხმობაც მიიღეს.

მიმომხილველი

**I ტური.** ***3 აგვისტო***
მერანი (თბ.) — გორდა (რუსთავი)
ლოკომოტივი (თბილისი) — დილა (გორი)
მეტალურგი (ზესტაფონი) — დინამო (თბილისი)
კოლხეთი1913 (ფოთი) — მილანი (წნორი)
***4 აგვისტო***
ტორპედო (ქუთაისი) — ვიტ ჯორჯია (თბილისი)
***5 აგვისტო***
დინამო (ბათუმი) — სიონი (ბოლნისი)

*აგვისტოში მატჩები 18 საათზე დაიწყება. პირველი ტურის ერთი მატჩი ლოკომოტივი — დილა კი 19 საათზე.*

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მსაჯი**
**ნიაზ იოსავა**
**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**
გამოსვენება 3. VIII. შ. იამანიძის 8.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 41 წლის ასაკში, მოულოდნელად გარდაიცვალა ფიფას თანამსაჯი**
**ზურაბ დოლიძე**
**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## ზურაბ დოლიძე



**მოუთმენლად ელოდა ახალ საფეხბურთო სეზონს, ისევ უნდა გამოსულიყო მინდორზე და თავისებურად, გულიანად მომსახურებოდა საყვარელ საქმეს. ვაგლახ, რომ არ დასცალდა, გულმა უმტყუნა ახალგაზრდა კაცს. თავზარდამცემი ცნობა ზურაბის გარდაცვალების შესახებ, უმალ გავრცელდა ქართული ფეხბურთის სამყაროში. იგი დააკლდა ყველას, ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებსა და კოლეგებს, საყვარელ საქმეს.**

## აბრამიძემ „სპარტაკთან“ 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი

საქართველოს ნაკრების მცველი ვალერი აბრამიძე მოსკოვის „სპარტაკის“ კუთვნილება გახდა. აბრამიძემ რუსული ფეხბურთის გრანდთან 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ადვილი შესაძლებელია, ქართველი ფეხბურთელი რუსეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში, „სპარტაკი“ — „დინამოს“ ხვალინდელ შეხვედრაში გამოჩნდეს მინდორზე.

## სერგო კვარაცხელია სლოვენიაში გაუშვეს

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ქართველი მსაჯებიც გაირჯებიან. 6 აგვისტოს სერგო კვარაცხელიას შერჩეული ქართული საფეხბურთო თემიდა სლოვენიისა და მალტის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩში მოგებულ-წაგებულს გამოავლენს.**

## მსაჯებმა ბევრი იკითხეს, ბევრი ირბინეს...

**ბორჯომდილეული ქართველ მსაჯთა კორპუსი ხვალიდან პროფესიულ საქმიანობას შეუდგება და ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე უმაღლესი ლიგის 12 გუნდს გაუძღვება.**

**მანამდე კი უმაღლესი, პირველი და რეგიონული ლიგების 51 მსაჯმა და ასისტენტმა ბორჯომის წარმტაც ხეობაში გვარიანი ოფლი ღვარა. ანატოლი მილჩენკო შეგირდებს დღეში სამჯერ არბენინებდა და თან წიგნით მეცადინეობას არ აკლებდა. თორმეტდღიანი წინასასეზონო მზადება გუშინწინ, ეროვნული სტადიონის სარბენ ბილიკებზე კუპერის ტესტის ჩაბარებით დასრულდა, რომელიც ყველაზე უკეთ ოთარ ხეცაძემ ჩააბარა. ახალგაზრდა მსაჯმა თავისებური რეკორდი დაამყარა, 12 წუთში 3310 მეტრი გაირბინა..**

**მსაჯთა კორპუსი, სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ფიფას თანამსაჯი**
**ზურაბ დოლიძე**
**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

# მთელი მისი ცხოვრება ბრძოლა და ვაჟკაცობის გამოცდა იყო მხოლოდ...



**იგი ქართული ფეხბურთის ნამდვილი მარგალიტი იყო. მისი მშვენება. თბილისის „დინამოს" სული და გული. მთავარი ძარღვი და მამოძრავებელი ძალა**

თბილისის „დინამოს" კლუბის ისტორიაში ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძის სახელი ბევრ რეკორდულ მაჩვენებელს უკავშირდება. მან 18 წელი (1943-1961) ითამაშა „დინამოს" შემადგენლობაში. 10 წლის განმავლობაში იყო გუნდის კაპიტანი. ყველაზე, მეტი მატჩი აქვს ჩატარებული საბჭოთა კავშირის პირველობაზე (343), ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი (127) და ერთი სეზონის (1950 წ.) საუკეთესო შედეგიც მას ეკუთვნის — 25 გოლი. მისი თამაშით აღფრთოვანებულნი იყვნენ როგორც ჩვენი, ისე მეტოქე გუნდების გულშემატკივრები.

მაღალტექნიკური, საზრიანი, სწრაფი, ცეცხლოვანი ფეხბურთელი, ტყავის ბურთის ნამდვილი ჯადოქარი, ერთნაირად კარგად ფლობდა კარში დარტყმას, გადაცემას, ბურთისართმევას, ფინტებსა თუ დრიბლინგს, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბურთის გაჩერებაში ბასას ბადალი არ ჰყავდა მთელ საბჭოთა კავშირში, ისე დამაჯერებლად, მოხდენილად ჩამოიღებდა ხოლმე ნებისმიერი მიმართულებით, და სიძლიერით დარტყმულ ბურთს, რომ ეჭვი შეგეპარებოდათ მართლაც ანდამატი ხომ არა აქვსო ჩადგმული ფეხებში.

ავთანდილ ღოღობერიძემ ფეხბურთის თამაში ადრეულ ასაკში დაიწყო, 1939 წლიდან სოხუმის „დინამოს" ბავშვთა გუნდში გამოდიოდა, თუმცა, მაშინ, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ გავიდოდა რამდენიმე წელი და სწორედ იმ გამოჩენილი ფეხბურთელების გვერდით მოუწევდა თამაში, ვისზეც ასე გატაცებით ·საუბრობდნენ ბავშვები... მაშინ ყველა მათგანს საკუთარი თავი ოცნებებში მათ გვერდით წარმოედგინა. ეს ოცნება ავთანდილ ღოღობერიძეს რეალობად ექცა. ბასამ მაშინ დაიწყო თბილისის „დინამოში" თამაში, როცა გუნდში იყვნენ უძლიერესი ფეხბურთელები: ბორის პაიჭაძე, შოთა შავგულიძე, გრიშა გაგუა, მიხეილ ბერძენიშვილი, არჩილ კიკნაძე (შემდგომ ლეგენდარული მიშა მესხის პირველი მწვრთნელი), გაიოზ ჯეჯელავა და სხვები.

პირადად მე თვითმხილველი ვარ იმ დიდი ღვაწლისა და დამსახურებისა, რაც ბასა ღოღობერიძეს მიუძღვის ქართული ფეხბურთის განვითარებაში. კარგად მახსოვს 1954 წლიდან 1961 წლამდე, ბასას მიერ ბრწყინვალედ ჩატარებული მატჩები თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში. მან თითქმის 40 წლის ასაკში დაანება თავი დიდ ფეხბურთს.

1962 წელს მწვრთნელად დაიწყო მუშაობა „დინამოში", იყო გუნდის უფროსი მწვრთნელი, ხოლო 1964 წელს, როცა თბილისის „დინამო" პირველად ავიდა საბჭოთა ფეხბურთის ოლიმპზე, ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძე იყო გუნდის უფროსი. ერთი სეზონი, 1967 წელს, ავტოკატასტროფამდე, სათავეში ედგა თბილისის „ლოკომოტივს". 1963 წელს გამოიცა ავთანდილ ღოღობერიძის წიგნი „ბურთით ცხრა მთას იქით". ფაქტობრივად, ამ წიგნით, ა. ღოღობერიძემ საფუძველი დაუდო საქართველოში სპორტული მემუარების გამოცემის ტრადიციას.

**აი, რას წერს წიგნის წინასიტყვაობაში „ფეხბურთის კარუზო", ლეგენდარული ბორის პაიჭაძე:**

„შეიწოვა და შეისისხლხორცა რაც ყოველივე საუკეთესო, რისი მიცემაც მისთვის კოლექტივს შეეძლო, შეიძინა რა გამოცდილება და მომწიფდა რა როგორც ფეხბურთის ოსტატი, ღოღობერიძე — მოთამაშე საოცრად უადვილებდა საქმიანობას მწვრთნელსა და კაპიტანს. ზოგჯერ სრულიად ზედმეტი იყო ჭკუის სწავლება და დარიგება, — ყველას თვალწინ ედგა ავთანდილის ცოცხალი მაგალითი. აი, სწორედ ამიტომ, 1951 წლის გაზაფხულზე, როცა გუნდი უკაპიტნოდ დარჩა და ახალი იყო ასარჩევი, ერთხმად იქნა დასახელებული ყველაზე ღირსეულის — ავთანდილ ღოღობერიძის კანდიდატურა. ყველაზე ღირსეულად კი მას მიიჩნევდნენ არა მარტო როგორც საუკეთესო ფეხბურთელს, არამედ, როგორც ყველაზე ავტორიტეტიანს: მისი სიტყვა ყველასათვის კანონი იყო. მკაცრი და მომთხოვნი იგი მხოლოდ მოედანზე როდი გახლდათ, ბუნებით მგრძნობიარე და გულისხმიერმა ადამიანმა, ადრევე შეიგნო, რომ გუნდი ვერასოდეს ვერ შეძლებს კოლექტიურ თამაშს, თუ მოთამაშეთა შორის არ დამყარდება ნამდვილი მეგობრობა. და იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა იმისათვის, რათა სამ ათეულ ფეხბურთელს ერთიანი მეგობრული ოჯახით ეცხოვრა".

*„ავთანდილ — რაც რომ ვნადირობ*
*ბურთის ყრას ველარ ავთავდი*
*ასპარეზობა გათავდა*
*მაგრამ მე როდი გავთავდი.*
***წლებს ნუ მიზომავთ, მაცალეთ,***
***რაც უნდა ხანი მებასა,***
*თუ კვლავაც დამრთავთ ნებასა,*
*გასიამოვნებთ მე — ბასა"*

*(ნოდარ დუმბაძე).*

ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძეს (დაბ. 3.08. 1922 წ. ქ. სოხუმი) 1951 წელს მიენიჭა სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. 1951 და 1953 წლებში, სსრკ ჩემპიონატის ვერცხლის, ხოლო 1946, 1947, 1950 და 1959 წლებში ბრინჯაოს პრიზიორი იყო. 1956 წლის სსრკ ხალხთა I სპარტაკიადის ვიცე-ჩემპიონი, 1951 წლის სეზონის საუკეთესო ბომბარდირი. სსრკ ნაკრების შემადგენლობაში ჩაატარა 3 მატჩი. გაიტანა I გოლი. 1952 წელს, ჰელსინკში ზაფხულის XV ოლიმპიურ თამაშებზე, სსრკ ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღო ერთ მატჩში, მერვედფინალურ შეხვედრაში — ბულგარეთის ნაკრებთან (2-1). ავთანდილ ღოღობერიძეს დამთავრებული ჰქონდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (1950 წ.). ბასა სამ ფრონტზე იბრძოდა: მეორე მსოფლიო ომის ველზე, საფეხბურთო მინდვრებზე და 1967 წლის ზაფხულში საშინელი ავტოავარიის შედეგად, 13 წელზე მეტი, პარალიზებული, სარეცელს მიჯაჭვული ებრძოდა სიკვდილს და ყველგან ვაჟკაცობის განსახიერებად დარჩა.

უმძიმესი წლები გადაიტანა ბასას ოჯახმა. იმ განსაცდელის ჟამს მას თავს ევლებოდნენ და ანუგეშებდნენ უმშვენიერესი და სათნო ქალბატონი მიმი გეგეჭკორი, რომელიც ამ ორიოდე წლის წინ გარდაიცვალა და მისი ერთადერთი ვაჟი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი თენგიზი, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს.

1976 წლის 26 სექტემბერს, თბილისის „დინამოს" განახლებული სტადიონის გახსნის დღეს, ფეხებწართმეული ბასა მწვანე მინდორზე თანაგუნდელებმა ხელში აყვანილი შემოიყვანეს. ეს იყო ამაღელვებელი წუთები.

ეს არ იყო მხოლოდ ტრაგედია ფეხბურთელისა, რომელიც აღარ იდგა მიწაზე, ეს იყო ბასას ბენეფისიც.

ავთანდილ ღოღობერიძეს 75 ათასი მაყურებელი ფეხზე წამოდგომით უკრავდა ტაშს.

1980 წლის 20 ნოემბერს, 58 წლის ასაკში დაასრულა თავისი სიცოცხლე ქართული ფეხბურთის დიდოსტატმა და მშვენებამ, ლეგენდარულმა ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძემ, რომლის სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული ფეხბურთის მატიანეში.



საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 2001 წლის 8 აპრილის განკარგულებით, მეორე მსოფლიო ომში კავკასიისათვის ბრძოლის დროს გამოვლენილი სიმამაცის, ერთგულებისა და მაღალი მოქალაქეობრივი მრწამსისათვის, საქართველოში ფეხბურთის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისა და მაღალი პროფესიონალიზმისთვის ქართული იფეხბურთის მშვენება, თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი კაპიტანი, უფროსი მწვრთნელი და გუნდის უფროსი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძე (სიკვდილის შემდეგ) დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

3 აგვისტოს ბასას 80 წელი შეუსრულდებოდა.

ვაჟა ჭიაურელი



*1951 წლის 28 ოქტომბერი, პოლონეთი. „უნია" (ვროცლავი) — „დინამო" (თბილისი) — მატჩის წინ. გუნდის კაპიტანია ავთანდილ ღოღობერიძე (მარჯვნიდან პირველი)*

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### „ბაიერნს" ფავორიტად მიიჩნევენ



ჟურნალისტებმა ჩაატარეს გამოკითხვა ბუნდესლიგის გუნდების მწვრთნელთა შორის. გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ 2002-2003 წლების საფეხბურთო სეზონის უმთავრესი ფავორიტი მიუნხენის „ბაიერნია". თვით ამ გუნდის თავკაცის ოტმარ ჰიტცფელდის თქმით, მის შეგირდებს აქვთ რეალური შანსი, დაიბრუნონ ჩვეული ადგილი ბუნდესლიგაში.

### ფაულერი ორი თვე ვერ ითამაშებს

**ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი რობი ფაულერი უახლოესი ორი თვის განმავლობაში ვერ შეძლებს მოედანზე გამოსვლას თეძოს ტრავმის გამო. ამის შესახებ განაცხადა მისი გუნდის „ლიდს იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ.**

**ტრავმა ფაულერმა გასულ სეზონში მიიღო, შემდეგ თითქოსდა გამოჯანმრთელდა, მაგრამ ახლა ტკივილმა კვლავ შეაწუხა. ექიმები ვარაუდობენ, რომ ფაულერი პრემიერ-ლიგის პირველი 7 ტურის თამაშებს გამოტოვებს.**

### პორტუგალიის ნაკრებს მანუელ ჟოზე გაწვრთნის

**მანუელ ჟოზემ პორტუგალიის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ანტონიო ოლივეირა შეცვალა. ეს უკანასკნელი მუნდიალზე წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ გაანთავისუფლეს გუნდიდან.**

**მანუელ ჟოზე აქამდე ეგვიპტურ კლუბს „ალ-ალის" თავკაცობდა და აფრიკის ჩემპიონთა ლიგაც მოიგო.**

### რომარიომ კლუბი შეიცვალა

მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონი, ბრაზილიის ნაკრების ექსფორვარდი რომარიო „ფლუმინენსეში" გადავიდა. აქამდე ფეხბურთელი „ვასკო და გამას" ღირსებას იცავდა. საინტერესოა, რომ რომარიომ „ფლუმინენსესთან" კონტრაქტი წლის ბოლომდე გააფორმა.




### შერინგემს ინგლისის ნაკრებიდან წასვლა არ სურს

ლონდონის „ტოტენჰემის" თავდამსხმელმა ტედი შერინგემმა განაცხადა, რომ ჯერ არ აპირებს საერთაშორისო კარიერის დასრულებას. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ის ხშირად აღარ ჩანს ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში, მაინც გამოთქვა სურვილი, ითამაშოს ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე.

„მე დიდ სიამოვნებას მანიჭებს ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში თამაში", — ამბობს 36 წლის ფორვარდი.

# ჭიდაობა ჩვენი, ქართული

№ 1



საქართველოს ჭიდაობის ფედერაციისა და გაზეთ „ლელოს“ ერთობლივი პროექტი


## ხელიხელ საგოგმანები საუნჯე

ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის, პარლამენტარ გოგი ლიპარტელიანის მისალმება:

– ქართული ჭიდაობა სპორტის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი და ულამაზესი სახეობაა, იგი საუკუნეების ქარტეხილებში, თავდასხმებსა და ბრძოლების ქარცეცხლში გამოწრთობილი ხალხის მიერ დახვეწილი, ჩვენამდე რის ვაივაგლახით მოტანილი ეროვნული საუნჯეა. უდავოა, რომ მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველ მეომართა ბრძოლისუნარიანობის ამაღლებასა და ფიზიკურ წრთობაში. სწორედ ამიტომ, საქართველოს მეფეები, საზოგადო მოღვაწენი, მწერლები და პოეტები განსაკუთრებული ეპითეტებით ამკობდნენ ქართულ ჭიდაობას და ფალავნებს. უწინ საქართველოში არც ერთი დღეობა, ლხინი თუ თავშეყრა არ ჩაივლიდა ქართული ჭიდაობის გარეშე. ალავერდის წმინდა ტაძრის ფრესკაზე კი გამოსახული ქართულ საჭიდაო ჩოხებში გამოწყობილი ორი ფალავანი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჯერ კიდევ XI საუკუნეში ქართული ჭიდაობა დიდი პოპულარობით სარგებლობდა.





ყველასთვის ცნობილია ისიც, რომ ჩვენმა ლეგენდარულმა ფალავნებმა ქართული ჭიდაობის წყალობით ბრწყინვალე წარმატებები მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებში.

სამწუხაროდ, რა დასამალია, ბოლო დროს ტრადიციები როგორღაც ჩრდილში მოექცა, სათანადოდ არ არის დაფასებული ქართული ჭიდაობის როლი და მნიშვნელობა. უცხო ჭიდაობებმა უფრო გაგვიტაცა. ცხადია, ასე გაგრძელება ნამდვილად აღარ შეიძლება. ჩვენ დავსახეთ ქართული ჭიდაობის გადარჩენისა და განვითარების სტრატეგია და ძირითადი მიმართულებები;

მივესალმები გაზეთ „ლელოს“ და ქართული ჭიდაობის ფედერაციის ერთობლივ პროექტს ქართული ჭიდაობის ტრადიციების ასაღორძინებლად და გასაღრმავებლად, მისი შემდგომი პოპულარიზაციისათვის გაზეთ „ლელოს“ სპეციალური ჩანართის – ფედერაციის საინფორმაციო გაზეთის „ჭიდაობა ჩვენი, ქართულის“ გამოცემას. „ლელო“ იმთავითვე იყო და კვლავ რჩება ქართული სპორტის მემატიანედ, იმედია, ერთობლივი ძალისხმევით სასურველ მიზანს უთუოდ მივაღწევთ.

## ფედერაციის მესაჭენი

2002 წლის 19 აპრილს გაიმართა ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა. ქართული ჭიდაობის სამყარომ ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე ერთხმად დაამტკიცა ახალგაზრდობაში ქართული ჭიდაობის მადლს ნაზიარები და მისი აღორძინებისათვის გულანთებული პიროვნება, პარლამენტარი გოგი ლიპარტელიანი, რომელმაც განაცხადა:

„მე ჯერ არ მომიკიდია ხელი ისეთი საქმისათვის, რომელსაც ღირსეულად ვერ გავუძღვებოდი. კარგად ვიცი, რისთვისაც გამომიცხადეს ნდობა – ვეცდები იმედები გავამართლო. 6 თვის შემდეგ შევიკრიბოთ და ანგარიშს ჩაგაბარებთ. ყველაფერს გავაკეთებ, რომ კრიტიკა არ დავიმსახურო“.

თანაპრეზიდენტად არჩეულია ყოფილი მოჭიდავე აკაკი ბორცვაძე. ქართული ჭიდაობის ფედერაციის კიდევ ერთი ვიცე-პრეზიდენტი გახდა გოგი ბიწკინაშვილი, რომელიც მოვალეობებს სიმონ მაისურაძესთან ერთად შეასრულებს, გენერალური მდივნის საქმიანობას ისევ იური იმერლიშვილი გააგრძელებს. საპატიო პრეზიდენტი კვლავ ნიკო იაშვილია. ყრილობამდე საქმიანობას გააგრძელებს ფედერაციის ადრე არჩეული პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში არიან ჩვენი ქვეყნის ცნობილი სპეციალისტები, მწვრთნელები, მსაჯები, ლეგენდარული ფალავნები და სხვა გამოჩენილი ადამიანები.

## მიმართვა

### აჭარისა და აფხაზეთის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტებს, სპორტის, სამხარეო სამმართველოებს, ქალაქებისა და რაიონების სპორტის ხელმძღვანელებს

გაცნობებთ, რომ საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ახალარჩეულმა ხელმძღვანელობამ დასახა ჩვენი ეროვნული საუნჯის ქართული ჭიდაობის აღორძინების სტრატეგიული გეგმა, რომლის პირველ ეტაპად გადაწყვეტილია ჩვენი ქვეყნის ქალაქების, რაიონებისა და სოფლების ნახერხმოყრილ ღია საჭიდაო მოედნებზე პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალულ ადამიანების, ენთუზიასტების, მწვრთნელების და ღირსეული მამულიშვილების მხარდაჭერით, ჩატარდეს გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, უქმე დღეებში შეჯიბრება – ზეიმები ქართულ ჭიდაობაში.

ამ დიდი მამულიშვილური საქმის წარმატებით გასრულებისათვის ფედერაციას გადაწყვეტილი აქვს ადგილებზე მიავლინოს პრეზიდიუმის წევრები შეჯიბრების ჩამტარებელ ენთუზიასტებისათვის მეთოდურ-პრაქტიკული დახმარების გასაწევად, მოამარაგებენ სამსაჯო მეთოდური მასალებით, მხარში ამოუდგებიან შეჯიბრებების მაღალ-სპორტულ დონეზე ჩატარებაში. სპორტღონისძიებათა კალენდარულ გეგმაში შეტანილია სოფლის სპორტსმენთა შეჯიბრება დევიზით: „ჩვენ ვეძებთ ფალავნებს!“ (სამ ეტაპად რაიონული (საქალაქო), რეგიონალური და ფინალური შეჯიბრებები) ფინალური შეჯიბრება გაიმართება ქ. გორში, 2002 წლის 14 სექტემბერს.

სპეციალური ჟიური გამოავლენს წლის 5 საუკეთესო ენთუზიასტ-ორგანიზატორს, რომლებიც დაჯილდოვდებიან დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

გთხოვთ თქვენს თანადგომას და დახმარებას!

ქართული ჭიდაობის ფედერაცია

*სიტყვიდან – საქმეზე!*

## ვერის ბაღში საჭიდაო აღდგა

ვერის ბაღში კვლავ ახმიანდება ქართული საჭიდაო მელოდია და გაიმართება ფიცხელი ბრძოლები, ისევე, როგორც თითქმის ამ 100 წლის წინათ. თბილისის ცენტრში ქართული ჭიდაობის სარბიელის გახსნის თაოსნად მოგვევლინენ დავით ციმაკურიძე, ოთარ კანდელაკი, აკაკი ბორცვაძე, როინ დობორჯგინიძე, ბორის ქვირია, გოგი ბიწკინაშვილი, იური იმერლიშვილი, გაბრიელ ბარჯაძე, გია ჯოხაძე. პირველი ბარიც მათ დაჰკრეს ვერის ბაღში გუშინწინ. საჭიდაო წრე უკვე მზადაა და უახლოეს დღეებში გაიხსნება საზეიმო ვითარებაში.

## გვიგულეთ თქვენს გვერდით...

საქართველოს პროფკავშირული სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ თავმჯდომარე წარსულში ცნობილი ფალავანი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი – ბერდია გუგავა:





— მივესალმები ქართული ჭიდაობის ფედერაციისა და გაზეთ „ლელოს“ ახალი პროექტის — საინფორმაციო გაზეთის გამოცემას. პროფკავშირული სპორტსაზოგადოება „შევარდენი“ იგულეთ თქვენს გვერდით, რადგან ქართული ჭიდაობის მოვლა-პატრონობა საყოველთაო საქმეა. ჩვენ უკვე გადავდგით პირველი ნაბიჯები და ქართული ჭიდაობის ფედერაციასთან ერთად, წლეულს პირველად ჩატარდება სოფლის სპორტსმენთა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში დევიზით: „ჩვენ ვეძებთ ფალავნებს“, რაც იმასაც ნიშნავს, რომ სწორედ ქართულმა ჭიდაობამ უნდა გამოავლინოს ნიჭიერი ახალგაზრდები ჭიდაობის სხვა სახეობებში დასაოსტატებლად. ეს თავისთავად ამ მიმართებით ტრადიციების აღდგენასაც ნიშნავს.

წარმატებები იყოს ჩვენი თანამდევი ამ კეთილშობილურ საქმეში.

## წლევანდელი ასპარეზობები

— **9 მაისი.** ს. ძალისი, ცხრა მაისობისადმი მიძღვნილი მეშვიდე ტრადიციული ტურნირი.

— **19 მაისი.** ს. ერედვი. შიდა ქართლის რეგიონალური პირველობა სოფლის სპორტსმენთა შორის, დევიზით: „ჩვენ ვეძებთ ფალავნებს!“

— **22 მაისი.** ს. ზემო ქედი — ვანო ჩოხელის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი;

— **22 მაისი.** ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ღია პირველობა და ფალავნობა;

— **24 მაისი.** ს. თელეთი. ამაღლების დღესასწაულისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი;

— **26 მაისი.** თბილისი. დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება (თემქა მე-11 მიკრორაიონი. II კვარტალი);

— **1 ივნისი.** თბილისი. ბავშვთა დაცვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება (გლდანის VI მიკრორაიონი);

— **22-23 ივნისი.** საგარეჯო. საქართველოს პირველობა ახალგაზრდებს შორის;

— **12 ივლისი.** ს. ქსოვრისი. ლაშარობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი შეჯიბრება;

— **ივნისი-ივლისი.** ს. ალი, ს. ფლევი, ოსიაური (ხაშურის რაიონი) შაბათ-კვირის ტრადიციული შეჯიბრებები...

სპორტული სეზონი გრძელდება...

*ქვედა ჯგუფურ ფოტოზე:* საქართველოს რეგიონალურ გუნდურ პირველობაზე გამარჯვებული მცხეთა-მთიანეთის ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელებთან ვაჟა და ზაურ პავლიაშვილებთან, ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ გოგი ლიპარტელიანთან და თანაპრეზიდენტ აკაკი ბორცვაძესთან ერთად საგარეჯოში.





## ვინ რას წერდა ქართულ ჭიდაობაზე

„ჭიდაობა ჩვენში მეცნიერებად არის ნაქცევი. თითო ისეთს მოჭიდავეს ნახავთ, რომ სულ საოცრებიდან გამოგიყვანთ. მე ამ დღეობებში ვნახე სხვათა შორის ერთი თვრამეტი – ცხრამეტი წლის ბიჭი მოჭიდავე. არ შეგიძლიან წარმოიდგინოთ მისი სისწრაფე ჭიდაობაში. რამდენნაირი ხერხი და ოსტატობა არა აქვს გამზადებული თავის მოწინააღმდეგის წასაქცევათა. რამდენჯერ დაიპყრეს ის თავისმა წინააღმდეგებმა ხელში და ყველას გვეგონა ეს არის წააქცევსო, და ის გველივით გამოუძვრებოდა ხოლმე ხელიდანა და ლაჯებიდანა; და რამდენიც კი წააქცია ამ ყმაწვილმა ბიჭმა, იმდენი სულ ყირამალა გადაატარა, მარტო ეს ბიჭი არ არის ამისთანა მოჭიდავე. ამისთანა და კიდევ უკეთესებიც ბევრნი არიან, ერთის სიტყვით, ვისაც ხიზამბარელის ჭიდაობა უნახავს, ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს სადამდინ განვითარებულია ჩვენში ჭიდაობა. იმედია, რომ თოფის სროლაც ასე წინ წავიდოდა ჩვენში, თუ დაიდებოდეს ჭიდაობასავით ადათათ ყოველს დღეობაში“.

ანტონ ფურცელაძე,
*1867 წ. გაზეთი „დროება“.*

# რჩეულთა შორის რჩეულნი

ფალავნობას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მაგრამ მწყობრი, ორგანიზაციულად სრულყოფილი და ოფიციალური სახე ამ ასპარეზობამ 1928 წლიდან მიიღო, როდესაც დაწესდა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის (იგივე ფალავნის) — ღირსეულთა შორის ყველაზე ღირსეული მოჭიდავის გამოვლენა. სხვადასხვა წელს გამარჯვებულთა შორის იყვნენ მოჭიდავეები, რომლებმაც მერე სახელი საერთაშორისო სარბიელზე გაითქვეს. მათ მუდამ ეამაყებოდათ საქართველოს ფალავნის საპატიო ტიტულსაც რომ ფლობდნენ.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ფალავნობაში გამარჯვებულთა სრული სია ჯერაც არ არის დადგენილი და დაზუსტებული, რასაც თავისი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები ახლავს. ესენია ინფორმაციის ნაკლებობა, აგრეთვე ისიც, რომ ზოგიერთ წლებში, საერთოდ, არ ჩატარებულა ფალავნობა. ყოველივე ეს კი სრულ წარმოდგენას არ გვაძლევს საქართველოს ფალავანთა შესახებ, არადა, ჩვენმა თანამედროვეებმა და მომავალმა თაობებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ ჩვენი ეროვნული გმირების, სათაყვანო ფალავნების შესახებ ზუსტი და უტყუარი ცნობები. მკითხველებისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება გაეცნოს საქართველოს ფალავანთა სიას 1928 წლიდან დღემდე.

ამასთანავე, თხოვნით მივმართავთ ქართული ჭიდაობის გულშემატკივრებს, საქართველოს ყოფილ ფალავნებს, მათ ახლობლებსა და ნათესავებს, ვისაც როგორ შეუძლია შეიტანონ თავიანთი წვლილი სიის დაზუსტებაში და მოგვაწოდონ მასალები, სადაც აღნიშნული იქნება ფალავნობის ჩატარების წლები, ფალავანთა ფოტოსურათები, ავტობიოგრაფიები, დიპლომები, სიგელები და სხვა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის აფიშები.




## საქართველოს აბსოლუტური ფალავნები
(1928-2000 წ.წ.)

1928 წ. შალიკო რჩეულიშვილი (თბ.)
1929 წ. მიხეილ შაოშვილი (გურჯაანი)
1931 წ. ჟორა რჩეულიშვილი (გორი)
1934 წ. ვახტანგ ჭიჭინაძე (თბილისი)
1935 წ. სანდრო ნაკაშაშვილი (გორი)
1936-37-38 წ.წ. არსენ მეკოკიშვილი (საგარ.)
1944 წ. არჩილ ონაშვილი (თბილისი)
1945-47-48-49 წ.წ. ზაქარია ბაკურაძე (ახმ.)
1953 წ. სიმონ მაისურაძე (თბილისი)
1957 წ. ზაქრო მუხიაშვილი (მცხეთა)
1958 წ. ამირან ვარდოშვილი (კასპი)
1959-60-62-64 წ.წ. ანზორ კიკნაძე (თბ.)
1963 წ. ანზორ ზურაბაული (საგარეჯო)
1967 წ. ბუღდან ბაღაკაშვილი (გორი)
1969 წ. გივი კახაბრიშვილი (თბილისი)
1970-71 წ.წ. შოთა გულიაშვილი (კასპი)
1972-77 წ.წ. შოთა ჩოჩიშვილი (გორი)
1973-75 წ.წ. ოთარ ყურაშვილი (კასპი)
1974 წ. იგორ ძეგლიშვილი (თბილისი)
1976 წ. თემურ ხუბულური (გორი)
1978 წ. აბესალომ წიკლაური (მცხეთა)
1979-82, 84-87; 89 წ.წ. მალხაზ ბერუაშვილი (თბილისი)
1980 წ. ტარიელ მუთოშვილი (ახმეტა)
1981 წ. შოთა ხაბარელი (თბილისი)
1983 წ. დავით დავითაშვილი (ახმეტა)
1985-86 წ.წ. ჯემალ მჭედლიშვილი (თბ.)
1988 წ. გელა ბერუაშვილი (თბილისი)
1990 წ. გიორგი გაჩეჩილაძე (ზესტ.)
1991 წ. ლერი ჟორჟოლიანი (მესტია)
1992 წ. არმაზ ჯალაბაძე (გორი)
1993 წ. კობა კუპატაძე (საგარეჯო)
1994 წ. ივანე გამხიტაშვილი (კასპი)
1995 წ. ვალერი პარუნაშვილი (თბ.)
1997 წ. გიორგი წმინდაშვილი (თელავი)
1996, 1998, 1999-2000 წ.წ. ალექსი დავითაშვილი (ახმეტა)
2001 წ. — არ ჩატარებულა

## აი, ისიც პირველი ფალავანი

**წარმოგიდგენთ საქართველოს პირველ ფალავანს შალიკო რჩეულიშვილს, რომლის დაწვრილებითი ცნობები პირველად ქვეყნდება ქართულ სპორტულ პრესაში.**

შალიკო რჩეულიშვილი დაიბადა 1908 წელს გურჯაანის რაიონის ს. ურიათუბანში (ამჟამად ვაზისუბანი) შეძლებული პიროვნების ივანე რჩეულიშვილის და ეკატერინე ჯორჯაძის ოჯახში. მამამ რევოლუციამდე ციმბირში დიდძალი ქონება — ოქრო და ფული დააგროვა გზებისა და წყლის გაყვანის სამუშაოების შესრულების შედეგად. საქართველოში საბჭოთა წყობილების პერიოდში იგი განაკულაკეს — ქონება და მამულები ჩამოართვეს. ბედის ანაბარა დარჩენილი ივანე თბილისში ჩამოვიდა და ვერაზე დასახლდა. სწორედ ამ უბნის საჭიდაოზე აიდგეს ფეხი მისმა ვაჟებმა შალვამ და ელიზბარმა.

გავიდა ხანი და თბილისში ხმა დაირხა — ვერელი შალვა რჩეულიშვილის წამქცევი ძნელად თუ მოიძებნებაო. ეს რომ ნაძალადევში განთქმული ფალავნის „მოდი მნახეს" გულშემატკივრებმა გაიგეს, შალვა, კვირა დღეს, ხუდადოვის ტყის მახლობლად მდებარე ნაძალადევის საჭიდაოზე გამოიწვიეს „მოდი მნახესთან" შესარკინებლად. ჭიდაობას დიდძალი ხალხი დაესწრო. წინასწარ მოწყობილ ორმოზე ნახერხი მოეყარათ, გარშემო სკამებზე მაყურებელი და მეზურნე-მედუდუკენი ჩამწკრივდნენ. ავტორიტეტულმა შუამავალმა მსაჯმა მოჭიდავენი იხმო. „მოდი მნახე" მედიდურად გადმოხტა სარბიელზე. მივიდა ჭაბუკ მოჭიდავესთან, შესაშინებლად, ხელი მაგრად ჩამოართვა და დასძახა: „მოდი მნახეო". შალვას წარბი არ შეუხრია, უხმოდ ჩამოართვა ხელი. შეებნენ ერთმანეთს. ვერელმა ფალავანმა დრო იხელთა, თავის ილეთზე მოიგდო ნაძალადეველი, მაღლა აიყვანა, შემდეგ კი ბეჭებით მიწაზე დასცა და მიაძახა: „მოვედი და გნახეო". ამის შემდეგ „მოდი მნახეს" სახელი გაუტყდა. მათ ორთაბრძოლას ესწრებოდა ძველი ფალავანი, იმ დროს უკვე ქართული ჭიდაობის სექციის ხელმძღვანელი ვანო წამალაშვილი, რომელსაც მოეწონა შალვა და სამეცადინოდ თავისთან მიიწვია.

1928 წელს, საქართველოში გაცხოველებული მზადება მიმდინარეობდა ფიზკულტურის პირველი დღესასწაულის ჩასატარებლად, რომლის პროგრამაში სპორტის სხვა სახეობებთან ერთად ჩვენი ეროვნული ჭიდაობაც შეიტანეს.

ქართული ჭიდაობა ელბაქიძის დაღმართზე მდებარე ძველ ცირკში ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ყველა კუთხიდან, 14 მაზრიდან ჩამოსულმა სპორტსმენებმა. მსაჯთა კომისიას თავკაცობდნენ ვანო წამალაშვილი და არჩილ ბაქრაძე. მოჭიდავენი 5 წონით კატეგორიაში ასპარეზობდნენ. ცირკის შენობა მაყურებელს ვერ იტევდა. შეჯიბრება რამდენიმე დღეს (4-7 ივნისის ჩათვლით) გაგრძელდა. თითოეულ წონით კატეგორიაში 10-15 კაცი გამოდიოდა. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს თბილისელებმა: ჩერქეზიშვილმა, ქარუმიძემ, რჩეულიშვილმა, კობიძემ და თოთაძემ, რის შემდეგაც გაიმართა აბსოლუტური პირველობა, რომელშიც უძლიერესი იყო შალვა რჩეულიშვილი. მას დამსახურებულად მიენიჭა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის ანუ ფალავნის საპატიო ტიტული.

მთელმა თბილისმა და სრულიად საქართველომ შეიყვარა პირველი ფალავანი, რომელსაც ღმერთმა გარდა ფიზიკური სიძლიერისა, თავმდაბლობა, სიკეთე, სიწმინდე, სიმშვიდე, ზომიერება, სიყვარული და სიბეჯითე დაანათლა და ვინ იცის იგი რამდენჯერ გახდებოდა საქართველოს ფალავანი და ასახელებდა ჩვენს ქვეყანას მის საზღვრებს გარეთ, რომ შურს, ბოროტებას და მრისხანებას არ ეზეიმა მასზე, ისევ თავისი მეგობრის ხელით, რომელმაც შალვას სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. მთელი თბილისი ფეხზე დადგა. ყველას უნდოდა ფალავანი სიკვდილისათვის გამოეტაცათ — რთული ოპერაცია განთქმულმა ქირურგმა მუხაძემ გაუკეთა. გაზეთებში დამაიმედებელი ინფორმაცია გამოჩნდა — ყველაფერი კარგად იქნებაო, მაგრამ ამაოდ... შალვას ვეღარაფერი უშველეს. ფალავანი სიკვდილს ვერ მოერია. დამწუხრდა მთელი თბილისი, საქართველოს მთა და ბარი. მის დაკრძალვაზე აუარება ხალხმა მოიყარა თავი. 20 წლის გაუხარელი ჭაბუკი პირველი ფალავანი. შალიკო რჩეულიშვილი ვაკის სასაფლაოზეა დაკრძალული.

**მასალები მოამზადა იური იმერლიშვილმა**

## საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2002 წლის სამუშაო გეგმის მთავარი ღონისძიებები

— საჭიდაო ჩოხების შეკერვა (შესრულდა);
— ფედერაციის შტატის მუშაკების შრომითი ანაზღაურების საკითხის მოგვარება (გადაწყდა დადებითად);
— კალენდარული გეგმის, შეჯიბრებების დებულებების შედგენა, ტირაჟირება და გაგზავნა საქართველოს რეგიონებში, ქალაქებსა და რაიონებში (შესრულდა);
— შეჯიბრების წესებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის განხილვა პრეზიდიუმის სხდომაზე (აგვისტო);
— ფედერაციის პრეზიდიუმის წევრების მიმაგრება რეგიონებზე (საკითხი მომზადებულია პრეზიდიუმის სხდომისათვის);
— პრეზიდიუმის წევრების მივლინებები ქვეყნის ქალაქების, რაიონებისა და სოფლების ნახერხმოყრილ საჭიდაო მოედნებზე შეჯიბრებების ჩამტარებელ ენთუზიასტებისათვის მეთოდურ-პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად (წლის განმავლობაში);
— კონკურსის გამოცხადება წლის 5 საუკეთესო ენთუზიასტ-ორგანიზატორის გამოსავლენად და დასაჯილდოებლად (სექტემბერი);
— მიმართვა მსოფლიო სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ასოციაციისა და ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს" (სოროსი) ხელმძღვანელთა მიმართ ქართული ჭიდაობის როგორც უძველესი და უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენისათვის დახმარების აღმოსაჩენად (მიმდინარეობს მუშაობა);
— სპონსორი ორგანიზაციების მოზიდვა (მზადდება წერილები);
— სახსრების მოზიდვა ამხანაგური, საჩვენებელი და სხვა მასშტაბის სპორტული ღონისძიებებიდან (წლის განმავლობაში);
— ქართული ჭიდაობის რეგიონალური, ქალაქებისა და რაიონების ფედერაციების ჩამოყალიბება და თავმჯდომარეების არჩევა (წლის განმავლობაში);
— მსაჯთა და მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების სემინარის ჩატარება (ოქტომბერი);
— დარგობრივ პროფკავშირებთან ერთად ვეტერანების, მწვრთნელების, მსაჯთა და სხვა სპეციალისტთა სოციალური დაცვის მიზნით მათთვის დასასვენებელი სახლებისა, სანატორიუმების საგზურების გამოყოფა და სხვა დახმარებების გაწევა (წლის განმავლობაში);
— საქართველოს პირველობა ახალგაზრდებს შორის (ჩატარდა);
— სოფლის სპორტსმენთა შეჯიბრება „ჩვენ ვეძებთ ფალავნებს". — რაიონული (საქალაქო), რეგიონალური და ფინალური ასპარეზობები (მაისი — სექტემბერი);
— ჟიურის მიერ 6 პერსპექტიული მოჭიდავის შერჩევა და ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელში მათი ჩარიცხვის საკითხის მოგვარება (სექტემბერი);
— საქართველოს პირადი და აბსოლუტური ჩემპიონატის (ფალავნობა) ჩატარება (ოქტომბერი);
— სასწავლო-მეთოდური, საცნობარო-საინფორმაციო ლიტერატურის გამოცემა (წლის განმავლობაში)
— ქართული ჭიდაობის პროპაგანდა პრესითა და ტელევიზიით (წლის განმავლობაში);
— ფედერაციის მიერ 6 თვის განმავლობაში გაწეული შედეგების შეჯამება (ნოემბერი);
— წლის საუკეთესო სპორტსმენის, მსაჯის, მწვრთნელის, ენთუზიასტის და სპეციალისტის გამოვლენა და დაჯილდოება (დეკემბერი);
— 2003 წლის სამუშაო გეგმის, სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმისა და დებულებების განხილვა-დამტკიცება (დეკემბერი).

## თქვენთვის ერუდიტებო!

***1. რომელი ქართველი ფალავანი მოკლეს ირანში „შაჰის ფალავნის" წაქცევისათვის?***
ა) ლუკა დადიანიძე
ბ) იოსებ ცერაძე
გ) ვანო მიდელაური

***2. ძველი ფალავნის „კამბეჩუას" ნამდვილი გვარი?***
ა) ვაჩნაძე
ბ) აბულაშვილი
გ) ბეჯითაშვილი

***3. რამდენ კილოგრამს იწონიდა სანდრო კანდელაკი?***
ა) 130-ს
ბ) 170-ს
გ) 180-ს

***4. რომელი გამოჩენილი პოეტი იყო კარგი ფალავანი?***
ა) გოგლა ლეონიძე
ბ) ირაკლი აბაშიძე
გ) ვაჟა-ფშაველა

***5. რომელი გამოჩენილი მომღერალი მსაჯობდა საჭიდაო მოედანზე?***
ა) ზურაბ სოტკილავა
ბ) დავით გამრეკელი
გ) ვანო სარაჯიშვილი

***6. რომელმა გამოჩენილმა პოეტმა მიუძღვნა პოემა კულა გლდანელისა და ნესტორ ესებუას შერკინებას?***
ა) აკაკი წერეთელმა
ბ) ილია ჭავჭავაძემ
გ) ვაჟა-ფშაველამ.

პასუხები: 1 — ბ, 2 — ბ, 3 — ბ, 4 — ბ, 5 — ბ, 6 — ა.

## ისტორია
## უძველესი ცნობები ქართულ ჭიდაობაზე

ძველ ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ პირველწყაროებში ჭიდაობა „რკენის" სახელწოდებით არის ცნობილი. სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონაში" ჭიდაობას, რომელიც გავრცელებული იყო ძველი და შუა საუკუნეების საქართველოში, ასე განმარტავს: „კაცი კაცსა რა ეჭიდებოდეს, რკენა ეწოდების".

უძველესი ლიტერატურული წყარო, სადაც ჭიდაობაა ნახსენები, არის მეცხრე საუკუნის ძეგლი „ცხოვრება სვიმონ მესუეტისა", რომელშიც ვკითხულობთ: "იწყო ეშმაკმან აღჭურვა და უნდა რომცა შებმა უყონ ნეტარსა სვიმონსა ვითა მორკინალმან"; „ჰრქვა მას ეშმაკმან... ვიწყოთ ბრძოლად შენდა და რკინობად".

ჭიდაობის სცენაა გადმოცემული უძველეს თქმულებაში ამირანზე, სადაც გმირი ამირანი უძლეველ მოჭიდავედ გვევლინება:

*ამირან დევი შეიბნენ,*
*მიწას გაჰქონდა გრიალი,*
*ამირანმა დევი დასცა,*
*ადგილი დახვდა ქვიანი,*
*დასცა და ბეჭი მოსტეხა,*
*დააწყებინა ღრიალი.*

ქართული ჭიდაობის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის — ალექსანდრე რობაქიძის მიერ ალავერდის ტაძრის მხატვრობაში ორი ფალავნის შერკინების ფრაგმენტის აღმოჩენა, რომელიც ტაძრის მთავარი შესასვლელის მარცხენა ზედა ფრესკაზეა გამოსახული. ამ ფრაგმენტის შესახებ ალექსანდრე რობაქიძე წერს: „რთული სიუჟეტის შემცველი მხატვრობის ქვედა მარცხენა კუთხეში ორი მოჭიდავეა გამოხატული. როგორც საფიქრებელია, მოჭიდავენი საგანგებო ტანსაცმელში არიან გამოწყობილნი და ჭიდაობის პროცესში იმყოფებიან. მხატვრობა XI საუკუნით არის დათარიღებული და ამდენად იგი წარმოადგენს იშვიათსა და მყარ წყაროს, რომლის მეშვეობით ორი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაა შესაძლებელი.

ჯერ ერთი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აქამდე არ მოიპოვება არც ერთი, ცოტად თუ ბევრად საიმედო წყარო, რომელიც XI საუკუნიდან მოდიოდეს და ამ დროის საქართველოში ქართული ჭიდაობის არსებობას ადასტურებდეს. ეს უნდა იყოს როგორც დროის, ასევე, სანდოობის თვალსაზრისით ერთ-ერთი ადრინდელი წყარო, რომელიც მყარ ცნობას გვაწვდის XI საუკუნის საქართველოში სპორტის ამ სახეობის არსებობის შესახებ. ამასთან ერთად, ზემოხსენებული მხატვრობის სახით, ჩვენს ხელთ არსებობს წერილობით ცნობებზე უფრო მჭევრმეტყველური წყარო, რომლის მეშვეობით შესაძლებელი ხდება, XI საუკუნის საქართველოში ქართული ჭიდაობის არსებობის არა მარტო ფაქტის დადასტურება, არამედ ამ ჭიდაობის ერთი მომენტის, მოჭიდავეთა ტანსაცმლის და სხვა გარემოების წარმოდგენა".

*გაგრძელება იქნება*

## დაჯილდოება

ქართული ჭიდაობის განვითარებაში, მის პოპულარიზაციასა და ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისთვის, ნაყოფიერი სპორტული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ბიორბი ბიწკინაშვილი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

COPA TOYOTA LIBERTADORES 2002

## ლიბერტადორესის თასი - „ოლიმპიას“

**პარაგვაის საფეხბურთო კლუბმა „ოლიმპიამ“, რომელმაც ლიბერტადორესის თასის გათამაშების პირველი ფინალური მატჩი საკუთარ მოედანზე 0-1 დათმო ბრაზილიურ „სან-კაეტანუსთან“, განმეორებით შეხვედრაში სან-პაულუს სტადიონზე გაიმარჯვა 2-1.** არადა, თავდაპირველად მასპინძლები დაწინაურდნენ აილტონის გოლის წყალობით. მეორე ტაიმის დასაწყისში კორდობამ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო შემდეგ ბაესმა მეორედ აიღო მასპინძელთა გუნდის კარი. საერთო ანგარიში გათანაბრდა და დებულების თანახმად, დაინიშნა პენალტების სერია, რომელშიც წარმატებას „ოლიმპიამ“ მიაღწია 4-2 და თასის მფლობელიც გახდა.

## პრემიერ-ლიგის მორიგი სეზონის წინ

**პრემიერლიგის თამაშების დაწყებამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა, თუმცა ინგლისურ საფეხბურთო სამყაროში გაგანია „არდადეგების“ დროსაც კი საინტერესო ამბები ხდება: როგორც წესი, სწორედ ამ პერიოდში მიმდინარეობს მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავების მიგრაცია პრემიერ-ლიგის გუნდებში.**

### საფეხბურთო გრანდებიც კი მომჭირნეობით ხარჯავენ ფულებს

უკვე დიდი ხანია, რაც ფეხბურთელთა საშუალო ანაზღაურების მხრივ, ინგლისური კლუბები დანარჩენი მსოფლიოს გუნდებს საკმაო „მანძილით“ უსწრებენ. დიახ, ინგლისში ფეხბურთელთა საშუალო ხელფასი 20-30 პროცენტით აღემატება მოთამაშეთა ყოველთვიურ შემოსავალს სერია „ა“-სა და ესპანური დივიზიონის კლუბებში. აი, რაში მდგომარეობს ფეხბურთის ვარსკვლავებზე „მოქმედი“ ინგლისური „მიზიდულობის ძალის“ საიდუმლო.

და მაინც, მიმდინარე წელს ინგლისურ სატრანსფერო ბაზარზე შედარებით სიწყნარეა, თავად განსაჯეთ, — შარშან, 1 აგვისტოსათვის, ინგლისში რეგისტრირებული იყო 107 ტრანსფერი, წლეულს მათი რაოდენობა მხოლოდ 61-ია! ამჟამად განხორციელებულ ტრანსფერთა ძირითადი ნაწილი არენდის ხასიათისაა, გამონაკლისია მხოლოდ რიო ფერდინანდის ტრანსფერი — ეს ფეხბურთელი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ იყიდა. შეიძლება დავასკვნათ, რომ გუნდებს ფულის ზედმეტად ფლანგვა არ სურთ, ამის მიზეზი კი, ისევ და ისევ ფულია.

ინგლისური სუპერკლუბების ძირითადი ამოცანა, რა თქმა უნდა, ოპტიმალური შემადგენლობის შენარჩუნებაა. გუნდების ხელმძღვანელები თავიანთ ფეხბურთელებს კონტრაქტების გაგრძელებას სთავაზობენ, — ცხადია ანაზღაურების გაზრდით. ეს უფრო მომგებიანია, ვიდრე ახალი მოთამაშის ყიდვა, რასაც მეტწილად რომელიმე მოთამაშის გაყიდვაც მოსდევს.


ფერდინანდი

მაგალითისთვის ავიღოთ „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომელმაც შარშან, შემადგენლობის გაძლიერებისათვის 50 მილიონი ფუნტი დახარჯა, წლეულს კი 30 მილიონით შემოიფარგლა. იმ თანხით, რაც რიო ფერდინანდის შეძენას დასჭირდა. სამაგიეროდ, მანჩესტერელებმა გაყიდეს დუაიტ იორკი (ორ მილიონად) და გაუშვეს კიდევ 8 (!) მოთამაშე!

მთავარმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ გუნდის სრული დაკომპლექტებისათვის მსოფლიო კლასის კიდევ ერთი ფორვარდის შეძენაა საჭირო.

„არსენალმა“ შეიძინა ბრაზილიელი უილბერტუ სილვა და არენდით აიყვანა ურუგვაის ნაკრების მეკარე კარინი, სამაგიეროდ, გაყიდა ერთი წლის წინ შეძენილი მეკარე რაიტი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთი რამ ნათელია: საფეხბურთო გრანდები ფინანსურ კრიზისს უფრთხიან. მძიმე მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩენილიყო „ლიდს იუნაიტედი“, თუმცა მას, რომ იტყვიან, სულზე მოუსწრო 30-მა მილიონმა ფუნტმა, რომელიც ფერდინანდის გაყიდვით „გაჩნდა“.

### გულშემატკივრებს მეორე დივიზიონის მატჩები უფრო აინტერესებთ?

პრემიერ-ლიგის იმ მატჩებზე, რომელშიაც უძლიერესი ინგლისური კლუბები თამაშობენ, ხშირი ანშლაგი ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მაყურებელთა დიდი რაოდენობა ესწრება მეორე დივიზიონის თამაშებსაც.

ამას წინათ, კომპანია „ბი-ეს-სკაიმ“ ჩაატარა გულშემატკივართა გამოკითხვა, ყველასათვის მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 51 პროცენტს მეორე დივიზიონის მატჩების ყურება უფრო აინტერესებთ... აქედან გამომდინარე, ტელეკომპანია „სკაიმ“, პრემიერ-ლიგის მატჩების ტრანსლაციის უფლებასთან ერთად, პირველი დივიზიონის მატჩების ტელერეპორტაჟების მოწყობის უფლებაც შეიძინა.

### ევრო-2004-ის წინ

## ინგლისელები სათამაშოდ „ვილა პარკს“ ირჩევენ

7 სექტემბერს ბირმინგემში, სტადიონ „ვილა პარკზე“ გაიმართება საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში ინგლისისა და პორტუგალიის ნაკრებებს შორის. ეს იქნება „ნისლიანი ალბიონის“ გუნდის პირველი ოფიციალური მატჩი მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიელებთან მეოთხედფინალში დამარცხების შემდეგ. გარდა ამისა, ინგლისელთათვის ეს არის გენერალური რეპეტიცია ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წინ. იმასაც შეგახსენებთ, რომ ამ შეჯიბრების ფინალურ სტადიას სწორედ პორტუგალია მასპინძლობს.



რატომ აირჩიეს ინგლისელებმა მატჩის გასამართად „ვილა პარკი“? იმიტომ, რომ მწვრთნელმა სვენ-გორან ერიქსონმა სწორედ ამ სტადიონზე გამართა პირველი მატჩი გასული წლის თებერვალში, როცა მისმა შეგირდებმა ესპანეთის ნაკრები გაანადგურეს — 3-0.

## ფეხბურთი იტალიურ „ჩიხში“

მიმდინარე წლის ზაფხული იტალიური ფეხბურთისათვის სკანდალური ფაქტებით მდიდარი აღმოჩნდა. ჯერ იყო „სკუადრა აძურა“ ნაადრევად გამოეთიშა მსოფლიო ჩემპიონატს, შემდეგ დროებით „რომა“ და „ლაციო“ მოკვეთეს სერია „ა“-დან (ორიოდე დღის წინ ამ კლუბების ხელმძღვანელებმა იტალიური ფეხბურთის ლიგას წარუდგინეს ფინანსური გარანტიები და ორივე მათგანი უკვე დაუშვეს ჩემპიონატში), ახლა კი „სერია ა“-ს რამდენიმე კლუბმა ჩემპიონატის დაწყების თარიღის გადადება მოითხოვა...

## ლეგიონერებს იტალიაში აღარ შეუშვებენ?

ზემოთ ჩამოთვლილ სკანდალურ ამბებს კიდევ ერთი დაემატა: იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ფრანკო კარარომ განაცხადა, რომ ამა წლის 31 აგვისტოდან ქვეყნის საფეხბურთო კლუბებს აღარ შეეძლებათ ევროკავშირების ფარგლებს გარედან უცხოელ ფეხბურთელთა მოწვევა და ეს წესი მთელი სეზონის განმავლობაში იმოქმედებს. გარდა ამისა, 31 აგვისტომდე კლუბებს მხოლოდ ერთი ლეგიონერის შეძენის უფლება აქვთ.

„საფეხბურთო ემიგრაციის ახალი კანონის შემოღება იძულებით გადადგმული ნაბიჯია, — განაცხადა კარარომ, — მართალია, ეს ბევრს არ მოეწონება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ სასიკეთოა ჩვენი ფეხბურთისათვის“.


კარარო

ასეთი კანონის შემოღებას მართლაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. „რომას“ ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ უმჯობესი იქნებოდა ლიმიტის დაწესება. სრულიად გასაგებია „რომას“ პრეტენზიები, რადგან შარშან ამ გუნდს 12 (!) ლეგიონერი ჰყავდა.

სხვათა შორის, 1966 წელს, როცა იტალიის ფეხბურთელთა ნაკრებმა კრახი განიცადა მსოფლიო ჩემპიონატზე, მაშინაც შემოიღეს ასეთი კანონი, ვინაიდან ჩათვალეს, რომ ნაკრების მოთამაშეთა სისუსტე ლეგიონერთა სიჭარბემ გამოიწვია. ამგვარი „ემბარგო“ 14 წლის (!) განმავლობაში გრძელდებოდა. უცხოელი ფეხბურთელებისათვის იტალიის ჩემპიონატის კარი მხოლოდ 1980 წელს გაიხსნა. 1982 წლისათვის იტალიურ კლუბებს ორ-ორი ლეგიონერის ყოლის უფლება ჰქონდათ. ეს რიცხვი 1988 წელს სამამდე გაიზარდა, 90-იან წლებში კი ლიმიტი „გაქრა“. რა მიიღეს იტალიელებმა 14-წლიანი „ემბარგოს“ სანაცვლოდ? 70-იან წლებში ამ ქვეყნის კლუბები ევროტურნირებში სერიოზულ წარმატებებს ველარ აღწევდნენ. სამაგიეროდ, „სკუადრა აძურამ“ მსოფლიოს 1970, 1978 და 1982 წლების ჩემპიონატებზე ბრწყინვალედ ითამაშა ესპანეთში (1982), მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. ეს მოხდა რეფორმების დაწყებიდან 16 წლის შემდეგ.

## „მილანი“ სელექციური კამპანიის დასრულებას კანავაროს შეძენით აპირებს


კანავარო

***იტალიური „მილანის“ ხელმძღვანელობა ცდილობს შეიძინოს „პარმასა“ და იტალიის ნაკრების მცველი ფაბიო კანავარო და ამით კახი კალაძის კლუბი სახელექციო მუშაობას დაასრულებს.***

საკითხავია, შეძლებენ კი მილანელები, დაისაკუთრონ კანავარო? ამ უკანასკნელით ხომ კიდევ რამდენიმე გუნდია დაინტერესებული, მათ შორის „ინტერი“, „იუვენტუსი“, „რეალი“, „რომა“. 24 წლის კანავაროს დღეისათვის სერია „ა“-ში 239 მატჩი აქვს ჩატარებული და მის ანგარიშზე 61 გატანილი გოლია.

თუკი კანავაროს ხელში ჩაგდებას შეძლებენ, მომავალ სეზონში „მილანი“ სუპერგუნდად წარმოგვიდგება, ვინაიდან მის შემადგენლობაში ფეხბურთის გულშემატკივრები იხილავენ ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც არიან: იონ დალ ტომასონი, რივალდო, როკე ჟუნიორი, რუი კოშტა, ჯენარო გატუზო, პაოლო მალდინი, ფილიპო ინძაგი, ანდრეი შევჩენკო, კახი კალაძე, კლარენს ზეედორფი, ფერნანდო რედონდო...

ვარაუდობენ, რომ კანავაროს საკითხი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

## ფინანსური კრიზისის შიშით

**თუკი არ ჩავთვლით რივალდოს გადასვლას „მილანში“, იტალიურ კლუბებს წლევანდელ „არდადეგებზე“ ერთი დიდი ტრანსფერიც არ განუხორციელებიათ, ამის მიზეზი კი ფინანსური პრობლემებია — ბევრ გუნდს კი შეუძლია ვარსკვლავის შეძენა, მაგრამ საკითხავია, უზრუნველყოფს თუ არა მოწვეულ ფეხბურთელს მაღალი ანაზღაურებით. „უდინეზეს“, რომელიც ყოველთვის ძლიერი ფეხბურთელების გაყიდვით არსებობდა, მძიმე დრო დაუდგა. საქმე ის არის, რომ გუნდი აპირებდა ორი ფეხბურთელის — მარტინ იორგენსენისა და რობერტო მუცის გაყიდვას, მაგრამ მათში ძალიან ცოტა ფული შეაძლიეს, „ასეთ თანხაზე დათანხმებას კი აზრი არა აქვს. იმ ფინანსური კრიზისის ფონზე, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, სჯობს ორივე ფეხბურთელი დავიტოვოთ,“ — განაცხადა „უდინეზეს“ სპორტულმა დირექტორმა პიერ-პაოლო მარინომ. ასე რომ, იტალიურ ფეხბურთს კრიზისი შეეპარა, იპოვნიან კი აპენინელები გამოსავალს სიტუაციიდან?**



*წლევანდელი ყველაზე „ხმაურიანი“ ტრანსფერი რივალდოს მონაწილეობით განხორციელდა*



## კრიზისი შოტლანდიურ ფეხბურთშიც მწიფდება

შოტლანდიის პრემიერ-ლიგის მომავალი ჯერჯერობით ბუნდოვნად გამოიყურება. ყველასათვის ნათელია, რომ 12-გუნდიან ჯგუფში ორად-ორი გუნდი „სელტიკი“ და „რეინჯერსი“ მთელი თავით მაღლა დგანან მეტოქეებზე.

2001-2002 წლების სეზონში მეორე ადგილზე გასული შოთა არველაძის გუნდს და მესამეადგილოსან „ლივინგსტონს“ შორის სხვაობამ... 27 ქულა (!) შეადგინა.

ამის გამო, დანარჩენი ათი კლუბის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ორი წლის შემდეგ მათ, შესაძლოა, შეწყვიტონ ასპარეზობა შოტლანდიის პრემიერ ლიგაში. სურვილი აქვთ შეიქმნას ახალი ლიგა, სადაც ყველა გუნდს თანაბარი უფლებები ექნება.

ამ ფონზე არ შეიძლება იმის დავიწყებაც, რომ „სელტიკი“ და „რეინჯერსი“ ინგლისის პრემიერ-ლიგაში გადასვლას ითხოვენ...

## ჯორჯ ბესტი მზად არის ახალი ცხოვრება დაიწყოს

წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი ჯორჯ ბესტი ლონდონის ქირურგიული კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება, ოთხშაბათს მას ცნობილმა ქირურგმა ნაიჯელ ჰიტონმა ჩაუტარა ღვიძლის ოპერაცია. ოპერაციის შემდეგ ავადმყოფის მდგომარეობა სტაბილურია. ჰიტონის განცხადებით, ასეთი „პროცესის“ ჩატარებიდან პაციენტმა შესაძლოა მხოლოდ ერთი წელი იცოცხლოს.

ბესტს სერიოზული პრობლემები 2000 წელს შეექმნა. ყოფილი ვარსკვლავი ხშირად სვამდა. ექიმებმა სპეციალური იმპლანტანტიც შეიყვანეს მის ორგანიზმში, თუმცა საქმე მაინც ოპერაციამდე მივიდა.

ახლა ჯორჯ ბესტი აცხადებს, რომ ამიერიდან ახალ ცხოვრებას იწყებს, თანაც ალკოჰოლის გარეშე.

შეგახსენებთ, რომ ჯორჯ ბესტი იყო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი დიდი ტალანტის მოთამაშე. 16 წლისამ პირველი მატჩი ითამაშა „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში. ამ კლუბის მაისურით სულ 290 მატჩი ჩაატარა და 115 გოლი გაიტანა. 37-ჯერ დაიცვა ირლანდიის ნაკრების ღირსება. გარდა ამისა, ის გამოდიოდა ამერიკულ „ლოს-ანჯელეს აცტეკასა“ და „სან-ხოსე ეფკვეიკსში“, შოტლანდიურ „ჰიბერნიანში“. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ბესტი ანალიტიკოსად მუშაობდა ტელეარხ „სკაი სპორტში“.

# როგორი იქნება „ფორმულა 1“ 2003 წელს?



**„ფორმულა 1“ წლევანდელი სეზონის დასრულებამდე ხუთი ეტაპი დარჩა, ახალი წლიდან კი მორიგი სეზონი დაიწყება. როგორი იქნება „ფორმულა 1“ 2003 წელს? — ვინ იქნებიან ფავორიტები? ეს კითხვები უკვე აწუხებთ სპორტის ამ სახეობის მოყვარულებს. ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ გადავხედავთ შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების ავტოპილოტთა სიას, რომელიც ჯერ ბოლომდე დაზუსტებული არ არის.**

**„ფერარი“: 1. მიხაელ შუმახერი; 2. რუბენს ბარიკელო**

ორივე ავტოპილოტს „ფერარისთან“ კონტრაქტი 2004 წლის ბოლოს უმთავრდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ მიხაელ შუმახერი მომავალ წელსაც მსოფლიო ჩემპიონობის უმთავრესი პრეტენდენტი იქნება. მართალია, დადიოდა ხმები, თითქოს „შუმი“ წლის ბოლოსთვის აპირებდა სპორტიდან წასვლას, მაგრამ ვითარება ისე შეიცვალა, რომ მიხაელი ახალი სიმაღლეების დასაპყრობად განაწყო...

**„უილიამსი-ბმვ“: 1. რალფ შუმახერი; 2. ხუან პაბლო მონტოია**

ჯერჯერობით, მონტოიას ხელი არ მოუწერია კონტრაქტისათვის „უილიამსთან“, თუმცა ვარაუდობენ, რომ ადრე თუ გვიან, ეს მაინც მოხდება. მონტოიასა და „უილიამსის“ ხელმძღვანელობის მოლაპარაკებათა გაჭიანურების მიზეზი არის ის, რომ კოლუმბიელი ავტოპილოტი ანაზღაურებას 12 მილი**ონ დოლარს ითხოვს. თუკი მხარეები ვერ შეთანხმდებიან, მონტოია შესაძ**ლოა, „ფერარიში“ ან „მაკლარენში“ აღმოჩნდეს, რომელთათვის თანხის ასეთი რაოდენობა ბევრს არაფერს ნიშნავს. თუმცა, თუკი გავითვალისწინებთ, რომ „მაკლარენშიც“ და „ფერარიშიც“ ორივე ძირითადი ადგილი დაკავებულია, მონტოია წასვლას ალბათ, ერთი წლით გადადებს.

**„მაკლარენი“: 1. დევიდ კულტჰარდი; 2. კიმი რაიკონენი**

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ მიკა ჰაკინენი დიდ სპორტს აღარ დაუბრუნდება, მისი ადგილი კულტჰარდის გვერდით რაიკონენმა დაიკავა.

**„რენო“: 1. იარნო ტრული; 2. ფერნანდო ალონსო**

ვნახოთ რა შედეგს გამოიღებს „რენოს“ ბოსის ფლავიო ბრიატორეს გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც ჯენსონ ბატონი ფერნანდო ალონსოზე გაცვალა.

**„ზაუბერი“: 1. ნიკ ჰაიდფელდი, 2. ფელიპე მასა ან ოლივიე პანისი (ანდა შესაძლებელია, — ჯანკარლო ფიზიკელას ვარიანტი).** წლის ბოლოს გაირკვევა, თუ ვინ იქნება „ზაუბერის“ მეორე პილოტი.

**„ჟორდანი“: 1. ჯანკარლო ფიზიკელა; 2. ტაკუმა სატო (შესაძლო ვარიანტები: ედი ირვაინი, ჰაინც-ჰარალდ ფრენტცენი).**

გაურკვეველია ფიზიკელას ბედი, რომელსაც მართალია, უკვე აქვს ხელი მოწერილი 2003 წლის კონტრაქტზე, მაგრამ დაინტერესებულია „ზაუბერში“ გადასვლით და კიდევ ერთი: საკითხავია, დაუბრუნდება თუ არა „ჯორდანს“ კარგა ხნის უკან გაგდებული ფრენტცენი?

**გაგაცნობთ დანარჩენი გუნდების შესაძლო შემადგენლობებს 2003 წლისათვის:**

**„იაგუარი“: პედრო დე ლა როსა; 2. მარკ ვებერი ან ედი ირვაინი.**

**„ბარი“: 1. ჟაკ ვილნევი, 2. ჯეისონ ბატონი.**

**„ტოიოტა“: 1. მიკა სალო; 2. ალან მაკნიში, ოლივიე პანისი ან კრისტიანო და მატა.**

**„ეროუზი“: 1. ენრიკე ბერნოლდი** (მეორე პილოტის ბედი გაურკვეველია, ვინაიდან თვით გუნდი ფინანსური კრიზისის პირასაა მისული. ისიც საკითხავია დარჩება თუ არა ბერნოლდიც).

**„მინარდი“: 1. ალექს იონგი** (მიმდინარეობს მოლაპარაკებები ტომაშ ენგუსთან, სებასტიან ბუდროსთან და იოს ფერსტაფენთან).

# ოლიმპიური ჩემპიონი იუბილეს 34 წლის წინათ შეკერილი კოსტიუმით შეხვდა



*პროტოპოპოვს სსრკ-ში არაფერი აკლდა, მაგრამ მაინც გაიქცა...*

ახლახან ორგზის ოლიმპიურ **ჩემპიონს ფიგურულ სრიალში** ოლეგ პროტოპოპოვს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. ის მეუღლესთან ლიუდმილა ბელოუსოვასთან ერთად 1978 წელს საბჭოთა კავშირიდან გაიქცა და პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა შვეიცარიის ხელისუფლებას. თუმცა ამ ქვეყნის მოქალაქეობა ყოფილ ფიგურისტთა წყვილმა მხოლოდ 1996 (!) წელს მიიღო. ახლა ისინი შვეიცარიის ქალაქ გრუნდევალდეში ცხოვრობენ. მათთან დაახლოებული პირები აღნიშნავენ, რომ სტუმრობისას ოლეგ პროტოპოპოვი ხშირად აჩვენებს ყველას ჯილდოებს და სიამაყით იხსენებს სამშობლოში გატარებულ წლებს.

ამ რამდენიმე წლის წინათ, კერძოდ, 1996 წელს, რუსეთის ფიგურული ცრიალის ფედერაციის პრეზიდენტმა ვალენტინ პისეევმა პროტოპოპოვი და ბელოუსოვა მოსკოვში, სპორტის ამ სახეობის დამკვიდრების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე დაპატიჟა და თავის თავზე აიღო მგზავრობის, სასტუმროში ცხოვრების ხარჯები, მაგრამ ოლეგ პროტოპოპოვმა უფრო მეტი მოინდომა — მან ვითომდა ზეიმზე საჩვენებელი გამოსვლის მომზადებისათვის, 25 ათასი დოლარი მოითხოვა, რაზედაც უარი მიიღო.

პროტოპოპოვი თურმე ხელმოკლედ ცხოვრობს. თავად განსაჯეთ, შვეიცარული ქალაქის ქუჩებში ის დღესაც თურმე 1968 წელს საბჭოთა კავშირში შეკერილი კოსტიუმით დადის!

# მიხეილ იმნაძე



ქართულმა სპორტმა, ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემამ დიდი დანაკლისი განიცადა — 86 წლისა გარდაიცვალა ქართული სატანვარჯიშო სკოლის უფროსი თაობის ღირსეული წარმომადგენელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი და საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, ღირსების მედლისა და ორდენის კავალერი მიხეილ იმნაძე.

მთელი თავისი ცხოვრება მ. იმნაძემ ქართული სპორტის, კერძოდ კი, ტანვარჯიშის სამსახურს შესწირა. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე, როგორც უკვე ცნობილი სპორტსმენი და ახალგაზრდა სპეციალისტი, განათლების სამინისტროში მიიწვიეს სამუშაოდ. შემდეგ დაინიშნა სპორტული სკოლის დირექტორად, სადაც ათეული წლები იმუშავა. როგორც ტანვარჯიშის ქართული კორიფეების ღირსეულმა მემკვიდრემ, მან შეისისხლხორცა ყველაფერი, რითაც გამორჩეული იყო ქართული სატანვარჯიშო სკოლა. **უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მინდობილ საქმეს, შემდეგ თავად მოევლინა ტრადიციების საიმედო გუშაგად და გამგრძელებლად, მის აზრს და დამოკიდებულებას ყველა პატივს სცემდა, მით უფრო, რომ საუკეთესო ადამიანური ღირსებების განსახიერება იყო თავად, როგორც პიროვნება. ამასთან, ყველას მისაბაძ მაგალითს აძლევდა თუ როგორ უნდა დაფასდეს იმ ადამიანთა ღვაწლი, რომლებმაც საძირკველი ჩაუყარეს და ფუძე დაუდეს ქართული სპორტის საამაყო ტრადიციებს.**

**ორგანიზატორულ საქმიანობას კარგად უხამებდა მწვრთნელობას. მის ხელში თაობებმა გაიარა, რჩეულებს გზა გაუკვალა დიდ სპორტში, ბევრი მათგანი შემდეგ თავად იქცა მწვრთნელად თუ სპორტის სპეციალისტთა აღმზრდელად.**

**უდიდესია მ. იმნაძის ღვაწლი და დამსახურება ქართული სპორტის წინაშე. ამაგდარი ვეტერანი ტანმოვარჯიშის, მწვრთნელისა და აღმზრდელის, ბავშვთა და მოზარდთა სპორტის თვალსაჩინო ორგანიზატორის, უბრწყინვალესი პიროვნების მიხეილ იმნაძის ხსოვნა არასდროს წაიშლება თაობათა მეხსიერებიდან.**

საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია,
ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშული სკოლის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები

პანაშვიდი 2.08, 16 სთ; დაკრძალვა 3.08, 14 სთ; გამსახურდიას, 19.

---

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული სპორტისა და ტანვარჯიშის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, დამსახურებული მწვრთნელი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ღირსების მედლისა და ორდენის კავალერი**

მიხეილ იმნაძე

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა სამძიმარს უცხადებს ოჯახს და საქართველოს სპორტულ საზოგადოებრიობას ღვაწლმოსილი სპორტული მუშაკის, ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშული სპორტული სკოლის ყოფილი დირექტორის**

მიხეილ იმნაძის

**გარდაცვალების გამო.**

---

**ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე სამსახურის ტანვარჯიშის ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის ყოფილი დირექტორის**

მიხეილ იმნაძის

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**ქ. თბილისის მერიის განათლების განყოფილება, ფიზიკური აღზრდის სექტორი, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები და მათი ხელმძღვანელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა განათლებისა და სპორტის სფეროს თვალსაჩინო ვეტერანი მუშაკი, ტანვარჯიშის სპორტული სკოლის ყოფილი დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი და მწვრთნელი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ღირსების მედლისა და ორდენის კავალერი**

მიხეილ იმნაძე

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**საქართველოს სპორტის ვეტერანთა საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე საბჭოს წევრის, ღვაწლმოსილი სპორტული მუშაკის**

მიხეილ იმნაძის

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




2 აგვისტო, პარასკევი

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 22.40), ***НТВ плюс футбол.*** გავიხსენოთ განვლილი სეზონი, ჩემპიონატები. გერმანიის (13.15), იტალიის (15.30), ჰოლანდიის (19.20), ინგლისის (21.35), გერმანიის (23.20), ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი (17.15). ***НТВ плюс спорт.*** საცხენოსნო სპორტი. დაბრკოლებათა გადალახვა. გაზეთ „როსიას“ თასი (14.00), ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში: წყალში ხტომა. ტრამპლინი 3 მ. ქალები. ფინალი (17.00), ცურვა. ნახევარფინალები და ფინალები (19.05), ტაილანდური კრივი (23.30), ***EUROSPORT***. ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (12.00, 16.15, 17.00, 18.00, 21.15, 1.45). რალი. მსოფლიო თასი (14.45), თანამედროვე ხუთჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი (15.15). სუმო. სუმოს დიდი ტურნირი (22.30).

3 აგვისტო, შაბათი

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (23.40), ***НТВ плюс футбол.*** გავიხსენოთ განვლილი სეზონი. ჩემპიონატები: ჰოლანდიის (13.15), ინგლისის (15.05), გერმანიის (19.10), იტალიის (20.55). ***НТВ плюс спорт.*** ბრძოლა წესების გარეშე. მსოფლიო ჩემპიონატი (15.00), ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში. წყალში ხტომა. 10 მ. ვაჟები. ფინალი (17.00), ველოსპორტი. ტრეკი. ევროპის ჩემპიონატი (18.30), დიდი რინგი (0.00). ***EUROSPORT***. ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (12.00, 17.00, 20.15, 3.15), საცხენოსნო სპორტი. ეროვნებათა თასი „სამსუნგი“ (14.15), საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიოს ტური (16.00), ფორმულა „რენო“. ევროპის თასი (18.15).

4 აგვისტო, კვირა

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (23.30), ***НТВ плюс футбол.*** გავიხსენოთ განვლილი სეზონი. ჩემპიონატები: გერმანიის (15.00, 19.20), იტალიის (17.15), ესპანეთის (21.05), ინგლისის (23.20), „ფუტბოლ მუნდიალი“ (22.50), ***НТВ плюс спорт.*** ველოსპორტი. ტრეკი. ევროპის ჩემპიონატი (14.30), ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში. კოშკი 10 მ. ქალები. სინქრონული ხტომები. ფინალი (17.00), ცურვა. ნახევარფინალები და ფინალები (20.10), ბილიარდის მეფეები (18.00), სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი (18.00), ტაილანდური კრივი (1.15). ***EUROSPORT***. ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (12.00, 17.00, 20.15), მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი (14.00), ნიჩბოსნობა. მსოფლიო თასი (15.30), საპლაჟო ფეხბურთი. მსოფლიო ტური (22.00), ველოსპორტი. მსოფლიო თასი (2.45).

# კროსვორდი № 59



თარაზულად: 1. კომპლექსური სპორტული ღონისძიება, რომელიც სსრ კავშირში ტარდებოდა, 6. ტრიუკების შემსრულებელი მსახიობი, 8. წარსულში ცნობილი პროფესიონალი მოკრივე არჩი ... 11. ამერიკელი ვეტერანი ჩოგბურთელი ვაჟი, 12. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, 13. რუმინეთის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 14. კონტინენტი, სადაც ჩატარდა ფეხბურთში ბოლო მსოფლიო ჩემპიონატი, 15. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 17. ტურისტული ტერმინი, ადგილმდებარეობის გარკვევა, 19. სტადიონის მინდვრის ირგვლივ შემოვლებული სარბენი ზოლი, 20. ფეხბურთის რუმინელი სპეციალისტი, 21. მეტოქისთვის წინდაწინ მიცემული უპირატესობა, 22. საჩოგბურთო პარტიის ნაწილი.

შვეულად: 1. „ლაციოს“ ჰოლანდიელი მწვრთნელი, 2. ქართველი მძლეოსანი ქალი, ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი, 3. ჩოგბურთელ კურნიკოვას სახელი, 4. მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიელი ვეტერანი ფეხბურთელი, 5. ნარდში ოთხიანი, 7. თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელი, 9. წარსულში ცნობილი ქართველი ფალავანი, 10. იაროსლავლის საფეხბურთო გუნდი, 12. ერთი ხელი თამაში ჭადრაკში, ჩოგბურთში... 14. ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, 16. გაფრთხილება ძიუდოში, 18. იაპონელი ფეხბურთელი.

**კროსვორდი №58. პასუხები**

თარაზულად: 4. კარპოვი, 7. კოპა, 8. ტრამპლინი, 9. ტოტი, 10. ურო, 12. ციბაძე, 14. „ომონია“, 15. კიმონო, 17. კასტილიო, 19. გულიტი, 20. კოშკურა, 21. ბერეჟნოი. შვეულად: 1. ვორონინი, 2. პატი, 3. მბა, 4. კაპელო, 5. პანიუკოვი, 6. იური, 13. ოლივიერა, 19. აროშიძე, 16. პაიკი, 18. ტუშე.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ეc5! მუქარა 1. ეc4X.
1. ...კ:c5 2. კg7X. 1. ...მფ:c5 2. კ:e3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩხილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com